დღეს სვეტიცხოვლობაა... ხვალ და ზეგ – თბილისობა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეჩი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 14 ოქტომბერი. 2016 წ. №192 (8084), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ანგელოზის წირვა დგება,
როცა დაჰკრავს ნინო ზარსა,
მცხეთის ქალაქს მირონი დულს
ყოვლგნივ გააქვს ნიავქარსა,
გარს გუმბათსა სვეტს ეხვევა,
როგორც ნორჩი ვაზი სარსა,
იმის მადლი შეგეწევათ,
რაც იქ წირვა- ლოცვა დგასა!

(ხალხური)

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიდისედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამინ! აღეშენა ესე წმიდა ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკის ძისაითა. ღმერთმან განუსვენოს სულსა მისსა“.

(წარწერა სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე).

„არა კაც კლა!“... ⑨

ირინა სარიშვილის აღიარებანი კომენტარებით

„კაპუტ მიშკა, შიშკა ი კრიშკა!“ ③

რა ელოდება კონსტიტუციის „გარანტ“ პრეზიდენტს?!

PORTA BATUMI TOWER-ის მშენებლობა 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება ⑩

„ვით იესომ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე, ბებერი...“

...ეს დღეობაა თბილისქალაქის, გეპატიჟებით ყველას!

„ჩვენც გვქონდა პრობლემები, ორი რევოლუცია გამოიარა ყირგიზეთმა, მაგრამ...

ყირგიზეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მხარს უჭერს – ეს განცხადება ალმაზბეკ ატამბაევმა საქართველოს პრეზიდენტთან ერთობლივ ბრიფინგზე გააკეთა. ატამბაევმა ოკუპირებული ტერიტორიების თემაზე კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ ომი არ არის გამოსავალი და ყველა პრობლემა მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას. მისივე თქმით, პრობლემები მის ქვეწყენასაც ჰქონდა:

„ყველა პრობლემა მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას. ომი არ არის გამოსავალი. ჩვენც გვქონდა პრობლემები, ორი რევოლუცია გამოირა ყირგიზეთმა 2005 და 2010 წლებში, მაგრამ არ ვრეკავდით მოსკოვსა და ვაშინგტონში. სამხედრო გზამ შესაძლოა, ჩიხური სიტუაცია გამოიწვიოს. ერთი მხარე არასდროს არ არის დამნაშავე. სიამაყეზე უნდა გვეთქვა უარი და არ უნდა მიგვეყვანა ამ სიტუაციამდე მდგომარეობა, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავარდეთ, თუმცა ყირგიზეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“, –აღნიშნა ყირგიზეთის პრეზიდენტმა ალმაზბეკ ატამბაევმა.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, საქართველო მზად არის, ევროინტეგრაციის სიკეთეები ხელმისაწვდომი გახადოს პარტნიორებისთვის. მარგველაშვილის თქმით, ყირგიზეთი არის საქართველოს საიმედო პარტნიორი. პრეზიდენტმა ვიზიტს ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ საქართველო-ყირგიზეთის ურთიერთობას აკავშირებთ დიდი ხნის წარსული და ასევე აქვს საინტერესო პერსპექტივა მომავალში.

„საქართველო როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდი უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. ჩვენ მზად ვართ, ჩვენს პარტნიორებთან განვახორციელოთ ამ თვალსაზრისით ღრმა და ყოვლისმომცველი პროექტები,“ – განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოსა და ყირგიზეთის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის შეთანხმებებს მოეწერა ხელი

საქართველოს პრეზიდენტისა და ყირგიზეთის პრეზიდენტების გაფართოებულ ფორმატში შეხვედრის შემდეგ, დღეს პრეზიდენტის სასახლეში ხელი მოეწერა შეთანხმებებს პრეზიდენტებს, მთავრობებს, ფინანსთა სამინისტროებს, შინაგან საქმეთა სამინისტროებს, განათლების სამინისტროებს შორის ინვესტიციების წახალისების, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

თედო ჯაფარიძე:
„ქართული ოცნება“ არ გადახედავს საგარეო პოლიტიკურ ვექტორებს

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის შეფასებით „საქართველოში ჩატარდა ყველაზე სამართლიანი, გამჭვირვალე და თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები, რის გარანტიასაც „ქართული ოცნება“ იძლეოდა.

როგორც ჯაფარიძის განცხადებაშია ნათქვამი, ამას არა მარტო საქართველოს მოქალაქეები აღიარებენ.

„არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის საქართველომ უკვე მიიღო მილოცვა ამერიკელი და ევროპელი პარტნიორებისაგან.

უახლოეს პერიოდში გაიმართება არჩევნების მეორე ტური, რის შემდეგაც „ქართული ოცნება“ ჩამოაყალიბებს მთავრობას, რომელსაც ასევე, დიდი ნდობა ექნება საქართველოს მოსახლეობის მხრიდან და ჩვენს უცხოელ პარტნიორებში პატივისცემას დაიმსახურებს. „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა, 2012 წლიდან მოყოლებული, რაციონალიზმზე, პრაგმატიზმზე და სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებაზეა ორიენტირებული, მაგრამ პირველ რიგში, ის ორიენტირებულია საკუთარ ნაციონალურ ინტერესებსა და ფასეულობებზე. საქართველოს დასავლური კურსი ჩვენი მოსახლეობის ისტორიულ არჩევანს წარმოადგენს. „ქართულმა ოცნებამ“ ამ გზაზე უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და იგი აუცილებლად მოიპოვებს კიდევ დიდ გამარჯვებებს“, – აცხადებს ჯაფარიძე.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ქვეყნის 20%, მისი თქმით, აქაც ქვეყნის მთავრობა ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც სრულად პასუხობს ეროვნულ ინტერესებს.

„კერძოდ, ის ეფუძნება მყარ პრინციპულ პოზიციას სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე. ხოლო საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგი შემოთავაზებულ იქნა ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მე ყურადღება მივაქციე რუსეთის დუმის დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ლეონიდ კალაშნიკოვის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნებით თითქოს ჩვენმა მოსახლეობამ უარი თქვა დასავლურ კურსზე. ბატონი კალაშნიკოვის ეს განცხადება სრულიად მოწყვეტილია რეალობას. შესაძლოა მას დაავიწყდა, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველომ მოახდინა პროდასავლური იდეალების დეკლარირება, თუმცა რუსეთთან მიმართებაში დაუშვა ძალიან ბევრი შეცდომა, რომ არაფერი ვთქვათ დანაშაულებზე, მათ შორის დათმობებზე სხვადასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში. სწორედ ექსპრეზიდენტის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მიიღო რუსეთმა კონტროლი საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ სფეროებზე. უკვე აღარაფერს ვამბობ 2008 წლის ტრაგედიაზე.

ამგვარად, მინდა დავარწმუნო ბატონი კალაშნიკოვი და მისი ის კოლეგები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ „ქართული ოცნება“ გადახედავს საგარეო პოლიტიკურ ვექტორებს – ეს არ მოხდება. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, დასავლელ პარტნიორებთან აქტიური და ეფექტური თანამშრომლობა არის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პრიორიტეტი და იგი პასუხობს საქართველოს მოსახლეობის სურვილს. სწორედ კალაშნიკოვის მიერ ნახსენები ორიენტაციის ცვლილების შესაძლებლობა პასუხობს სააკაშვილისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს“, – აღნიშნავს თედო ჯაფარიძე.

რუსი დეპუტატები შეეცდებიან, საქართველოს პარლამენტთან საპარლამენტო კავშირები აღადგინონ. ამის შესახებ რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ს საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ კალაშნიკოვმა რუსულ გამოცემა „Аргумены и факты“ განუცხადა.

კალაშნიკოვის თქმით, აღნიშნული შესაძლებლობა გამოჩნდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ცესკო-მ საპარლამენტო არჩევნების შედეგები გამოაქვეყნა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 8 ოქტომბრის არჩევნებს აფასებს

საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ჯონ ქერის უწყება საპარლამენტო არჩევნებს დადებითად აფასებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები საქართველოს მოსახლეობას 8 ოქტომბერს კონკურენტუნარიანი, კარგად ორგანიზებული არჩევნების ჩატარებას ულოცავს. ასევე ნათქვამია, რომ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შეფასებით, საპარლამენტო არჩევნებმა ძირითადი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემით ჩაიარა და მან რეგიონში საქართველოს, როგორც დემოკრატიული რეფორმების ლიდერი ქვეყნის სტატუსს გაუსვა ხაზი.

ასევე ყურადღება გამახვილებულია არჩევნებზე გამოვლენილ დარღვევებზეც.

„უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, თუმცა დღის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ძალადობრივ ინციდენტს საარჩევნო უბნებზე.“ – ნათქვამია განცხადებაში და ასევე აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები მკაცრად გმობს ძალადობისა და დაშინების ცალკეულ შემთხვევებს. ქერის უწყება ყველა ამ ინციდენტის დეტალურ და დაბალანსებულ გამოძიებას მოითხოვს.

სახელმწიფო დეპარტამენტი პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს მოუწოდებს, მეორე ტურამდე პერიოდი მშვიდად გაიარონ.

„ამერიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს, რომ საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობას განაგრძობს და ყოველთვის დაუჭერს მხარს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის სწრაფვას ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ.“ – ნათქვამია განცხადებაში.

იან კელიმ და იანოშ ჰერმანმა პრემიერს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მოულოცეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში იან კელისთან და ევროკავშირის ელჩთან იანოშ ჰერმანთან შეხვედრა გამართა.

საუბარი შეეხო 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

იან კელიმ და იანოშ ჰერმანმა გიორგი კვირიკაშვილს საპარლამენტო არჩევნების წარმატებით ჩატარება მოულოცეს. მათი შეფასებით, არჩევნები ღია, კონკურენტულ და კარგად ორგანიზებულ გარემოში ჩატარდა, სადაც ამომრჩევლის ფუნდამენტური ღირებულებები დაცული იყო.

ამერიკის ელჩის განცხადებით, 2016 წლის არჩევნებმა დაადასტურა საქართველოს ერთგულება დემოკრატიული რეფორმებისადმი. მანვე იმედი გამოთქვა, რომ მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური მშვიდობიანად ჩაივლის და ყველა პოლიტიკური ძალა იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR), ასევე, საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნებს, რომელთა თანახმად, საქართველოში გამჭვირვალე, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები გაიმართა.

გიორგი კვირიკაშვილმა მადლობა გადაუხადა ამერიკის ელჩს და ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საპარლამენტო არჩევნების დადებითად შეფასებისთვის.

პარტიები, რომლებიც ბიუჯეტიდან 300 000 ლარით დაფინანსდებიან

ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 4 პოლიტიკური სუბიექტი 300 000 ლარით დაფინანსდება. თანხას მიიღებს: **„პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“, „თავისუფალი დემოკრატები“, ლეიბორისტული პარტია, დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსთვის.**

კანონმდებლობის მიხედვით, მათ ვინც 3-პროცენტიანი ბარიერი გადალახეს, უფასოდ გამოეყოფათ ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარეკლამო დრო და შეეძლებათ, ცესკოში საკუთარი კანდიდატურა წარადგინონ. პარტიებს, რომლებმაც საკუთარ საარჩევნო სიაში გენდერული ბალანსი დაიცვეს, დამატებით ერთჯერადად 90 000 ლარი დაერიცხებათ. ასეთია „ლეიბორისტული“ პარტია.

„კაპუტ მიშკა, შიშკა ი კრიშკა!“

ყველაზე „ჭკვიანებმა“ ე.ი. ვირ-ეშმაკებმა ნაცმოძრაობის რიგები არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ მაშინ დატოვეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ოდესელის გზას არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა. დატოვეს და შექმნეს ახალი პარტია — „გირჩი“.

რატომ დაირქვეს ეს სახელი, დღემდე ბევრისათვის საიდუმლოდ დარჩა. არადა, ძალიან უბრალოდ ასახსნელია, თუ გაიხსენებთ, რომ „გირჩი“ რუსულად „შიშკაა“. „შიშკა“ კი რუსულ-საბჭოური სლენგით, ალბათ გეხსომებათ, რასაც ნიშნავს: დაახლოებით იგივეს, რასაც „ბოსი“. არ დაიჯეროთ, რომ ენმ-ში „დასავლურად“ აზროვნებენ, სწორედ პირიქით — მათ რუსულ-საბჭოურობა სისხლში აქვთ გამჯდარი — „მიშა მაგარია“ ე.ი. „შიშკა-ბოსობა“ მუდამ ენატრებათ და აბოდებთ.

„გირჩის“ დამფუძნებლების რუსულ-საბჭოური ლოგიკა მარტივია — „კაპუტ მიშკა“ და ამიტომაც გვინდა ახალი „შიშკა“! „შიშკებად“, ე.ი. ახალ ბოსებად, რასაკვირველია, საკუთარი თავ ი მოიაზრეს. შემდეგ, მათ გზას ვაშაძეც ცალკე დაადგა, რომელმაც ასევე რუსული ალუზიით თავის ე.წ. პარტიას „ახალი საქართველო“ უწოდა. რატომ რუსული ალუზია? იმიტომ, რომ ვაშაძეს თავი სწორედ „ნოვი გრუზინად“ და ერთობ „პრადვინუტ“ ტიპად ჰყავს წარმოდგენილი;

ახალი შიშკა, რასაკვირველია ენმ-ის იმ კრიზისმა შვა, რომელიც არჩევნებამდე, კოჰაბიტაციის პირობებშივე განვითარდა. არჩევნების შემდგომ ენმ-ში „ეგზისტენციური კრიზისის“ უკანასკნელი ეტაპია; რა არ სცადეს, მაგრამ ვერც „რევოლუცია“ ვერ შედგა და არჩევნებს რომ წააგებდნენ, ისედაც ცხადი იყო. რა ქნან ახლა? რა აკეთონ ეს ოთხი წელიწადი? მყეფარე ოპოზიციის როლი, ე.ი. „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ — მათ არ ხიბლავთ. ძალაუფლების ველურ ვნებას კი ვერც ელევიან და ვერც იკმაყოფილებენ.

ვისაც საღი აზროვნების უნარი შერჩენია და პიროვნების კულტის ფანატიზმით არ არის უიმედოდ დაავადებული, რასაკვირველია, აცნობიერებს, რომ მართლმსაჯულებას ოდესაში გაქცეული ბოროტმოქმედის, კონდოტერის და ავანტიურისტის გზა დასასრულს უახლოვდება. „ქართლის ცხოვრების“ ჟამთააღმწერელი მასზე ალბათ ასე დაწერდა: „განერიდა რისხვასა სამართლისასა, ილტვოდა და იჯნა ოდესას“. ახლა მას სამართლით დევნილი და „ოდესაში ჯმნულის“ უცხოს სტატუსი აქვს ფორმალურად, მაგრამ ყველამ იცის, რომ მდგომარეობა — „კაპუტ, მიშკა“ ამ არჩევნების შემდგომ, პრაქტიკულად, უკვე დადგა.

„ოდესაში ჯმნული“ თავის პარტიას მოუწოდებს, რომ პარლამენტში კი არ შევიდნენ, არამედ ოდესის ფილიალად ქუჩა გამოიყენონ, „მუნ იჯმნან“ და იქიდან შეუტიონ. და რა ქნან ნაცებმა? რა წყალს მისცენ თავი? საით ილტვოდნენ და სად იჯმნან?! მიუხედავად იმისა, — ოდესაში, თუ აქ, საქართველოს ქუჩაში ან პარლამენტში იქმნებიან ჯმნულნი, მათი საქმე მაინც დაღუპულია!, ისევ რუსული სლენგით რომ გამოვხატოთ, ასეა: „კაპუტ მიშკა, ვოტ ტე შიშკა, პიზდეც — კრიშკა!“

„ვოტ ტე შიშკას“ ასახსნელად ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „შიშკა“ანუ „შიშ“ — რუსული სლენგის მეორე, „ბნელი“ გაგებით — არა „ბოსს“, არამედ ქართულად ბრანწს, სამი თითის უშვერ კომბინაციას ნიშნავს! აი, სწორედ ისეთ კოტხად გამოფსკვნილ ბრანწს, მოკლედ — „შიშ“-ს, რაც პარტია „გირჩმა“ ამ არჩევნებში მიიღო. ამ პარტიამ ჯერ შიშკა-ბანი გაიგირჩისთავა, მერე ეს გაგირჩისთავებული სულაც უგირჩოდ დატოვა და თავადაც არჩევნებს გამოეთიშა! არადა, გინდ უგირჩო გირჩისთავიანად და გინდ მარტო-შიშკურ ამბავგაგებაში მონაწილეობის შემთხვევაშიც ზუსტად იგივე, ან შეიძლება უფრო მეტადაც გამობზეკილ ბრანწს — „შიშ-კუკიშს“ მიიღებდა!

პარტია „გირჩს“ თავისი გაჭირვებაც ეყოფა, ამიტომ ისევ მის დედა მშობელ ნაცებს დავუბრუნდეთ. დიდი ანალიზი და პოლიტოლოგობა არ სჭირდება და ისედაც ყველასთვის ნათელია, რომ ახლა ენმ-ს კვლავაც, როგორც არჩევნებამდე კრიზისისას, სამი გზა აქვს: ტვინგაცხელებულები ოდესისკენ, ბოლო გაჩეერებით — „კაპუტ მიშკა!“ მეორე გზა — გირჩის ანუ პარლამენტში ჯმნისა და „გაშიშკების“ გზაა, (ვაშაძისეული „ნოვი გრუზინის“ განშტოებით), ხოლო მესამე, ალბათ ყველაზე რევოლუციურ-ჭეშმარიტი გზა — ჯმნა ქუჩაში და გმირული აღსასრული — ე.ი. „კრიშკა!“.

ვინც ახლა ენმ-ს დატოვებს და ოდესისკენ მიმავალ „კაპუტ მიშკას“, ე.ი. დაღუპვისკენ მიმავალ ყველაზე მოკლე გზას არ დაადგება, შეუძლია „შიშკას“ მიმართულებით იმოძრაოს და პარლამენტში გაგირჩდეს; ასევე, ქუჩურ ამბავსა და გაგებაში შეუძლიათ სულაც ახალი პარტია, სახელად „კრიშკა“ შექმნან. ისე, მეორე და მესამე გზა, პრინციპში, ერთი და იგივეა, რადგან არც ერთი მათგანი არსადაც არ მიდის. ამიტომ უპრიანი იქნება ენმ-ის არაპირველებმა, ე.ი. მეორე-მესამეებმა ერთი საერთო გაერთიანება დაარსონ. რუსულად მისი სახელწოდება იქნება„შიშკა ი კრიშკა“. მართლაც მშვენიერია! აბა, მითხარით, ვითომ რით არ ჯობს „რაგა ი კაპიტას“?

ქართულად მთლად გადასარევი სახელი — „გირჩი და ხუფი“ გამოვა. აბა, დაფიქრდით: კაციშვილი ვერ გაიგებს, რა ხუფი, რის გირჩი და შეთქმულთა საიდუმლო აურას ხომ რაგვარ განიმტკიცებენ! ეს იდუმალი აურა კი მიშას მიერ სადღაც გვირაბში დაკარგული ქარიზმატულობის მაგივრობას გაუწევთ...

...ამრიგად, ენმ-ის დღევანდელი მდგომარეობა „კაპუტ მიშკა, შიშკა ი კრიშკად!“ იწოდება და დეტალებს მნიშვნელობა არცა აქვს. არც არის საკითხავი. ისიც კი უმნიშვნელოა — შევლენ თუ არა შიშკადყოფილები და ძალაუფლების ნაცვლად შიშ-აღებულნი პარლამენტში.

რა ვუყოთ დაბნეულ ამომრჩევლებს? რა ვუყოთ ჩვენი მოქალაქეების ნახევარმილიონიან არმიას, რომელსაც ეგონა რომ „შიშკა-მიშკას“ ირჩევდა და სინამდვილეში ისევ ბრანწი აირჩია?

რა ვუყოთ დაბნეულ ამომრჩევლებს? რა ვუყოთ ჩვენი მოქალაქეების ნახევარმილიონიან არმიას, რომელსაც ეგონა რომ „შიშკა-მიშკას“ ირჩევდა და სინამდვილეში ისევ ბრანწი აირჩია?

საკითხავი, მართლაც, აი, ეს არის!

დავით ზარდიაშვილი

რა ელოდება მიშას კონსტიტუციის „გარანტ“ პრეზიდენტს?!

„ქართული ოცნება“, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად იმარჯვებს, სერიოზული პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას გეგმავს.

მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა, ქვეყნის ლიდერის საყოველთაო არჩევნები გააუქმოს:

„სამომავლოდ პარლამენტში პრეზიდენტის არა პირდაპირი, როგორც ახლა, არამედ საპარლამენტო კენჭისყრის გზით არჩევის გადაწყვეტილების მიღებას არ გამოვრიცხავთ, როგორც ეს არაერთ ევროპულ ქვეყანაში ხდება. იმ პირობებში, როცა ვამბობთ, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა, პარლამენტს მეტი უფლება უნდა მიენიჭოს, მათ შორის — პრეზიდენტის არჩევის“.

ვოლსკი დარწმუნებულია, რომ ერთმანდატიან ოლქებში მეორე ტურის შედეგებით სახელისუფლებო პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, ანუ 150-დან არაუმცირეს 113 სადეპუტატო მანდატს.

ოპოზიციამ საჭესთან დარჩენილი „ქართული ოცნების“ ეს განზრახვა ხელისუფლების მონოპოლიზების ანონსად აღიქვა, ყველა გამომდინარე შედეგით. საექსპერტო წრეების ყურადღება კი „მეოცნებეთა“ რიგებში არსებულმა ეიფორიამ მიიპყრო.

თავად კონსტიტუციის „გარანტს“ ჯერჯერობით ქვეყნის მთავარ კანონში დაგეგმილ ცვლილებებზე რეაგირება არ მოუხდენია.

საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი კონსტანტინე ჩოკორაია პირდაპირ საფრთხეს ხედავს იმაში, რომ მმართველი პარტია, არც კი ელოდება რა კენჭისყრის ოფიციალურ შედეგებს, უკვე საკონსტიტუციო ცვლილებებს აანონსებს:

„ამ საკითხს მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით ვერ მიუდგები, ეს პოლიტიკური საკითხიცაა. ამჟამად ჩვენ ვხედავთ პრეზიდენტის გარკვეულ დამოუკიდებლობას მმართველი პარტიისგან, თუმცა არ გამოვრიცხავ, ხელისუფლებამ პროცესის დასაჩქარებლად სახელმწიფოს ლიდერის იმპიჩმენტის ინიცირება მოახდინოს“.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე კი მმართველი პარტიის ამ განზრახვაში საშიშს ვერაფერს ხედავს. მისი თქმით, სიტუაცია, რომელიც პრეზიდენტისა და პრემიერის ინსტიტუტებს შორის ურთიერთობაში შეიქმნა, დიდი ხანია, შესაცვლელია:

„კონსტიტუცია, რომლითაც დღეს საქართველო ცხოვრობს, სააკაშვილის მიერ მისი მმართველობის ბოლო წელს შეიქმნა იმისთვის, რომ გაეგრძელებინა მართვა ან პრემიერის, ან პრეზიდენტის რანგში. იმ საკითხზე იგი მტკიცედ ჩამოყალიბებული არ იყო, ამიტომაც, პრინციპში, გადაანაწილა ფუნქციები ამ ორ ინსტიტუტს შორის ისე, რომ პრეზიდენტსაც აქვს გარკვეული ფუნქციები, თუმცა არცთუ ქმედითი, ძირითადად კი — პრემიერს. აი, ასეთი ბუნდოვანი კონსტიტუციის პირობებში ვცხოვრობთ დღეს. სწორედ ამ ბუნდოვანებამ წარმოშვა თავის დროზე პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დაპირისპირება, რადგან პრეზიდენტს ლეგიტიმაცია ძალზე მაღალი აქვს, უფლებები კი პრაქტიკულად არ გააჩნია, აქვს მხოლოდ ვეტოს უფლება. ეს საკითხი გარკვეულ რეგულირებას საჭიროებს, მით უფრო, რომ მსგავსი სისტემა მრავალ ქვეყანაში არსებობს“.

თუმცა პოლიტოლოგი დარწმუნებული არ არის, რომ საქართველო მომწიფდა საპარლამენტო რესპუბლიკისთვის. ამ მხრივ იგი ამომრჩეველთა დაბალ აქტივობაზე მიუთითებს — ქვეყნის პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაში ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარი მონაწილეობს.

აი, კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე კი თვლის, რომ მთავარი საფრთხე პირდაპირი არჩევნების გაუქმების მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო უნიტარულ სახელმწიფოდ გადაიქცევა:

„საქმე იმაშია, რომ ჩვენი მთავარი გამოწვევა ყოველთვის კონსოლიდირებული ხელისუფლება იყო. იგი გააჩნდა პრეზიდენტს 2010 წლის რეფორმამდე და არსებობდა უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით. ეს პრობლემას წარმოადგენდა, რომელიც დემოკრატიულ განვითარებას აფერხებდა. ახლა, თუ მმართველი პარტიის ინიციატივა განხორციელდება, ჩვენ შეგვექმნება მდგომარება, როცა პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს. ეს კი ნიშნავს, რომ უმრავლესობა როგორც მთავრობას დააკომპლექტებს, ისე ქვეყნის ლიდერს დანიშნავს, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ქვეყანაში ძალთა რაიმენაირი ბალანსის არსებობას მაინც“.

სპეციალისტები ურჩევენ „ქართულ ოცნებას“, ჯერ არჩევნების საბოლოო ოფიციალურ შედეგებს დაელოდოს და შემდეგ დაიწყოს განცხადებების კეთება დაგეგმილი საკონსტიტუციო რეფორმების შესახებ. და მორიგი კრიზისის თავიდან ასაცილებლად თავი შეიკავოს ქვეყნის ძირითადი კანონის საკუთარ პოლიტიკურ აუცილებლობებზე მორგებისგან.

ekhokavkaza

„გაგრიფში“, საბჭოთა რივიერის მარგალიტი, სადაც საცურაო აუზი 30 წელია, წყლით არ ავსებულა

გავლენიან ამერიკულ გამოცემა „The New York Times“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია აფხაზეთის თანამედროვე მდგომარეობა, ყურადღება ეთმობა ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს, ნაჩვენებია საქართველოს სეპარატისტული რეგიონის შუქ-ჩრდილები.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:

„საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს შავი ზღვისპირეთში მომხდარი საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, საბჭოთა რივიერაზე განახლების პროცესი შეიმჩნევა, თუმცა ძალიან ნელი და გაჭიანურებული. ამის მაგალითია ერთ დროს დიდებული სანატორიუმი „გაგრიფში“, სადაც რუსი ტურისტებისთვის დღეს კომბოსტოს სუპი („ბორშჩი“) მზადდება. მომსახურება რომ ძალიან დაბალ დონეზეა, ამას სანატორიუმის ხელმძღვანელობაც აღიარებს: „ჩვენ ორ ვარსკვლავზეც კი არ გვაქვს პრეტენზია, — ამბობს დირექტორი იური კუტაბა, — მომსახურება მწირია, საცურაო აუზი თითქმის 30 წელია, წყლით არ გავსებულა, „ვაი-ფაი“-ზე კი არც ვოცნებობთ“. თუმცა „გარიფშის“ 240 ნომერი, რომელიც ნაგვისა და აბლაბუდისაგან უკვე გაწმენდილია, მთელი ზაფხულის განმავლობაში იყო დაკავებული რუსი ტურისტების მიერ და მათგან ნახევარში დღესაც, ოქტომბერში კვლავ დამსვენებლები არიან, განსაკუთრებით ზღვის მხარეს, აივნიან ოთახებში.

აფხაზეთში, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ შესამჩნევია 1992-1993 წლების ომის კვალი, გასართობად და დროის გასატარებლად არავინ არ მოდის. აქ ჩამოდიან მხოლოდ მზისთვის, წარმტაცი ბუნების, დაბალი ფასებისა და... მოგონებებისათვის. „გაგრიფში“ ერთ-ერთი ისეთი სანატორიუმია, რომელიც საბჭოთა პერიოდში აშენდა აფხაზეთში. აქ იყო იოსებ სტალინის საყვარელი აგარაკიც, აქ ისვენებდა ხოლმე ნიკიტა ხრუშჩოვიც...

აფხაზეთში 2008 წლიდან, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსული ბაზებია განლაგებული. მიმდინარე საზაფხულო ტურისტული სეზონი მომგებიანი გამოდგა, მაგრამ ამით, რასაკვირველია, ის ზარალი ვერ ანაზღაურდება, რასაც აფხაზეთს 1990-იანი წლების დასაყისში განიცადა — დაინგრა და გავერანდა უამრავი სასტუმრო, ბევრი კი უსახლკაროთა თავშესაფრად გადაიქცა.

ავთანდილ ღურწკაია აფხაზეთის ტურიზმისა და კურორტების მინისტრია — იმ კვაზი-სახელმწიფოსი, რომლის სუვერენიტეტს, რუსეთის გარდა, კიდევ სამიოდე ქვეყანა აღიარებს. იგი ამბობს, რომ ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლები აფხაზეთისათვის ის „ლოკომოტივია“, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია და მისი არსებობის უზრუნველყოფა მომავალშიც.

მინისტრი აღიარებს, რომ ტურისტებს ყველა ქვეყანაში ეძებს, მაგრამ რადგანაც სოხუმის აეროპორტი ჯერ კიდევ 20 წლის დაიხურა და მას შემდეგ არ მუშაობს, აფხაზეთში ტურისტები ძირითადად მხოლოდ მეზობელი რუსეთიდან ჩამოდიან. ვიზები საჭირო არ არის, საზღვარზე რუსი და აფხაზი მესაზღვრეები დგანან.

საქართველო, რომელიც აცხადებს, რომ აფხაზეთი მისი ნაწილია, სასამართლო დევნითა და ჯარიმებით ემუქრება ყველა იმ ადამიანს, რომელიც გაბედავს და აფხაზეთს — „რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას“ - თბილისის ნებართვის გარეშე ეწვევა. ამის მიუხედავად, როგორც ავთანდილ ღურწკაია ამბობს, მიმდინარე წლის ბოლომდე უცხოელ ტურისტთა რაოდენობა, ალბათ, უკვე მილიონნახევარს მიაღწევს (ათი წლის წინ კი მხოლოდ 92 ათასი იყო). ბუნებრივია, დამსვენებელთა 90% რუსეთიდანაა, თუმცა ჩამოდიან უკრაინიდან და ყაზახეთიდანაც. ამგვარი სიტუაცია იმის მაჩვენებელია, თუ რამდენადაა აფხაზეთი დამოკიდებული რუსეთზე, თუმცა, სამხრეთ ოსეთისაგან (საქართველოს კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონი) განსხვავებით, აფხაზეთი სრულიად არ ამჟღავნებს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილს.

ძალიან რთული მდგომარეობა იქმნება, როცა მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილისათვის აფხაზეთი არ არსებობს, როცა ომამდელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ქვეყნიდან წასულია, როცა ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც საბჭოთა ეპოქაში ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა, დღეს სარეველა მცენარეებს დაუფარავთ.

1970-იან წლებში იოსებ სტალინის აგარაკის ახლოს აშენებული სანატორიუმ „მზიურის“ დირექტორს ოთარ არშბას ძალიან სურს, რომ ბევრ უცხოელი სტუმარს მოემსახუროს, თუმცა მას სასაცილოდ არ ჰყოფნის იდეა ტურისტების მიღება ნაურუდან, წყნარ ოკეანეში ჩაკარგული კუნძულიდან, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს: „ნაურუელთა რაოდენობა ჩვენზე ნაკლებია და თან ოკეანეში იძირება“, —ასეთი აზრი აქვს ოთარ არშბას აფხაზეთიდან ძალიან შორს მდებარე კუნძულზე, რომლის მოსახლეობა ათი ათას ადამიანს ითვლის.

რუსი ტურისტები უმეტესად მცირებიუჯეტიანი მოქალაქეები არიან, განსაკუთრებით კი პენსიონერები, რომლებიც საბჭოურ ეპოქას ნოსტალგიით იხსენებენ. და მაინც სწორედ მათი წყალობითაა, რომ აფხაზეთის ეკონომიკას ახალი სიცოცხლე უბრუნდება. ისინი ავსებენ აქაური ქალაქების თითქმის დაცარიელებულ ქუჩებს — ეთნიკური ქართველების, ბერძნების და სხვა ეროვნების ადამიანთა ნაცვლად, რომლებიც აფხაზ ნაციონალისტთა მოქმედების გამო იძულებული გახდნენ ქვეყნიდან წასულიყვნენ.

სვეტლანა კალინსკაია, 70 წლის რუსი პენსიონერი დონბიუს როსტოვიდან, ამბობს, რომ აფხაზეთში პირველად ბავშვობის დროს იყო და მრავალი წლის შემდეგ, როცა მან ეგვიპტე და თურქეთში იმოგზაურა, გადაწყვიტა, რომ ბავშვობის მხარეც მოენახულებინა. „რასაკვირველია, თურქეთთან შედარებით აქ მომსახურების დონე ნულია“, — მეუბნება იგი სკკპ კომპარტიის მე-17 ყრილობის სახელობის სანატორიუმის ახლოს შეხვედრისას, — „მაგრამ აქ სამოთხეა“. ვლადიმირ ლენინის ბიუსტი მისთვის ბავშვობის ბედნიერ მოგონებებს აღძრავს, როცა „ყველა ერთად ცხოვრობდა დიდ ქვეყანაში“.

ავტორი ესაუბრება „გაგრიფშის“ ძველ თანამშრომელს თამარ გაივორონსკაიას, რომელიც იხსენებს საბჭოთა ლიდერების სტუმრობას, მათ შორის ბორის ელცინის ვიზიტსაც — „მანამდე, სანამ იგი რუსეთის პირველი პრეზიდენტი გახდებოდა და საბჭოთა კავშირს დაანგრევდა. შემდეგ კი კონფლიქტი დაიწყო: აფხაზებმა სანატორიუმი მიითვისეს და იქ საქართველოსთან ომის დროს სამეთაურო პუნქტი მოაწყვეს. იმ პერიოდში სანატორიუმის სტუმრები ძირითადად ჩეჩნი ბანდიტები იყვნენ — მაგალითად, შამილ ბასაევი, რომელიც, რუსეთის მხარდაჭერით, აფხაზებთან ერთად ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და რომელიც შემდეგ რუსეთის ნომერ პირველი ტერორისტი გახდა. „შამილ ბასაევმა ცოლად ადგილობრივი ქალი შეირთო და ეს სანატორიუმის რესტორანში აღნიშნა“, — ამბობს თამარ გაივორონსკაია. ამასთან, მისი აზრით, სანატორიუმში შეიარაღებული სამხედროების ყოფნამ შენობა გაძარცვისაგან გადაარჩინა.

დღევანდელი დამსვენებლები, რასაკვირველია, უფრო მომთხოვნები არიან. სწორედ მათი ფულის წყალობით არსებობს „გაგრიფში“, რომელიც „მომავალ თაობას იმ მცირე სურათს აჩვენებს, თუ როგორი ცხოვრება იყო ან უკვე გამქრალ ეპოქაში“.

ენდრიუ ჰიგინსი.
„The New York Times“ (აშშ)

აფხაზეთის მძიმე თავისუფლება - აქ პლაჟი ადამიანების ნაცვლად ძროხებს აქვთ ათვისებული

„ათი წლის წინათ, 2006 წლის 18 ოქტომბერს, აფხაზეთის სახალხო კრებამ რუსეთს დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართა, მაგრამ აღიარება მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ბოლოს განხორციელდა. როგორ ცხოვრობს დღეს პატარა ქვეყანა, რომლიც საქართველოსთან ხანგრძლივი კონფლიქტითაა გამოფიტული?“, — ასე იწყება რუსული გამოცემა „Литературная газета“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობაა აღწერილი.

გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას:

„სოხუმამდე სანამ მივაღწიეთ, რამდენიმე ტრანსპორტი გამოვიცვალეთ: ჯერ სოჭამდე — თვითმფრინავით, შემდეგ მატარებლით — ახალ ათონამდე და რადგანაც ძლიერი წვიმის გამო რკინიგზა დაზიანებული იყო, კეთილმა ადამიანებმა ავტომობილით აფხაზეთის დედაქალაქის ცენტრამდე მიგვიყვანეს: თავისუფლების მოედანზე, სადაც აფხაზეთის ომის დროს დაბომბილი მთავრობის შენობა დგას. შენობის დანახვისას ჩვენი, მოსკოვის თეთრი სახლი გამახსენდა, 1993 წლის ოქტომბრის დროს.

მოვინახულეთ კურორტი გულრიფში, სადაც ერთ დროს „ლიტერატურნაია გაზეტას“ შემოქმედებითი სახლი არსებობდა და სადაც ჩვენი რედაქციის თანამშრომლები და ცნობილი მწერლები ისვენებდნენ. კინაღამ ცრემლები წამომცვივდა, როცა ექვსსართულიან გავერანებულ შენობას შევხედე: ოდესღაც ულამაზესი ბარი დღეს ნაგვითაა სავსე, შადრევნები კი მინგრეულ-მონგრეულია... საერთოდ, ირგვლივ ბევრი უპატრონო და მიტოვებული შენობაა. ბევრი იყიდება, მაგრამ რადგანაც უცხოელებს მათი შეძენა კანონით ეკრძალებათ, ისინი მფლობელებს წლობით ელოდებიან. იქვე ახლოს შიგადაშიგ, „ახალი აფხაზების“ კოტეჯებიც მოჩანს. გულრიფშის პლაჟი მოუწესრიგებელია, ნაგვით სავსე, იქ უფრო მეტად ძროხები ირუჯებიან, ვიდრე ადამიანები“, — წერს ავტორი.

სტატიაში საუბარია აგრეთვე აფხაზეთის სულიერ (რელიგიურ) და სხვა კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე — კამანში არსებულ ეკლესია-მონასტრებზე, სოხუმში — დიმიტრი გულიას ძეგლზე, აფხაზურ ტრადიციებზე... ავტორი მკითხველს აცნობს მოხუცებისადმი პატივისცემის წესს, რომელიც აფხაზეთში ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცევა და ა.შ.

ევგენი ფიოდოროვსკი
„ლიტერატურნაია გაზეტა“

ევროპის საბჭოს დიდი კატასტროფების შეთანხმების საქართველოს სპეციალიზებული ცენტრი 20 წლისაა

1995 წლის ნოემბერში ევროპის საბჭოს დიდი კატასტროფების შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების შეკრებაზე განიხილეს საქართველოს წინადადება საქართველოში „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის“ სპეციალიზებული ცენტრის შექმნის თაობაზე. წინადადება წარმოადგინა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, პროფესორმა თამაზ ჭელიძემ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ევროსაბჭოს ამ შეთანხმების წევრი საქართველო გახდა ჯერ კიდევ 1993 წელს, ანუ სამი წლით ადრე, ვიდრე ის ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა.

წინადადება განიხილეს და მოიწონეს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა, ფრანგმა პროფესორებმა ა. გუბემ და ჟ. ბენამ, რის შედეგად 1996 წლის დეკემბერში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტთან შეიქმნა სპეციალიზებული ცენტრი.

ამჟამად ცენტრს აქვს არასამთავრობო იურიდიული პირის სტატუსი.

ქართულ-ევროპული ცენტრი ერთ-ერთია დიდი კატასტროფების შეთანხმების ქსელში, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ქვეყნის 27 ცენტრი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპის დიდი კატასტროფების შეთანხმება შეიქმნა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით 1987 წელს. ის წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის პლატფორმას სხვადასხვა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების თავიდან აცილების და რისკების შემცირების დარგში.

ცენტრის დირექტორია აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე, სამეცნიერო საბჭოს, რომელშიც მრავალი გამოჩენილი უცხოელი მეცნიერი შედის, თავმჯდომარეობს პროფესორი მარტინ ვილანდი (შვეიცარია), ხოლო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეა პროფ. ვახტანგ აბაშიძე.

ცენტრი შექმნილია, რათა განავითაროს მრავალეროვნული, მრავალდარგობრივი მიდგომა მაღლივი კაშხლებთან დაკავშირებული გეოდინამიკური და სხვა სახის რისკების პრობლემის მიმართ, რაც მოიცავს:

დიდი კაშხლების მახლობლად მიმდინარე ლოკალური და რეგიონული გეოდინამიკური პროცესების მულტიდისციპლინარული მონიტორინგის ახალი მეთოდების განვითარებას და გამოცდას; მოსალოდნელი ბუნებრივი და ტექნოგენური საშიშროებების ანალიზს და განზოგადებას; შესაძლო ზარალის სცენარების შექმნას და საზოგადოების განათლებას იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს განგაშის შემთხვევაში, კატასტროფის დროს და მის შემდეგ; რეალურ დროში მომუშავე ავტომატური ტელემეტრული მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების სისტემების შექმნას დიდი საინჟინრო ობიექტების სტაბილურობის კონტროლისათვის.

ევროსაბჭოს დიდი კატასტროფების შეთანხმების მცირე გრანტებით შესრულდა 20-ზე მეტი პროექტი, მათ შორის აღსანიშნავია:

- **შეიქმნა ენგურის მაღლივი კაშხლის საერთაშორისო პოლიგონი (Enguri Dam International Test Area – EDITA), სადაც გამოცდას გადის ახალი მონიტორინგის სისტემები და მონაცემთა დამუშავების ახალი მეთოდები. კერძოდ, თანამედროვე არაწრფივი დინამიკის მეთოდებზე დაყრდნობით შემუშავდა კაშხლის დიაგნოსტიკის კომპიუტერული პროგრამა.**
- **შეიქმნა და 2010 წლიდან უწყვეტად მუშაობს რეალურ დროში მოქმედი დიდი საინჟინრო ობიექტების დეფორმაციების ავტომატური ტელემეტრული მონიტორინგის სისტემა, რომლის დროს თბილისში, კვლევის ცენტრში ინტერნეტით გადმოიცემა 1-წუთიანი და 1-საათიანი დროის ბიჯებით ავტომატურად ათვლილი მონაცემები დამუშავებისა და განსჯისათვის, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კაშხლის სტაბილურობის კონტროლისა და შეფასებისათვის. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მეთოდებით ჩატარებული დაკვირვებებით დგინდება, რომ 1990-იან წლებში გათვლილი ენგურის კაშხლის მედეგობის პარამეტრები მის ზედა ნაწილში აღემატება ნორმატიულ მნიშვნელობებს, თუმცა არავითარი დაზიანებები არ იკვეთება. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ძველი საპროექტო პარამეტრების ხელახლა გადათვლა დაკვირვებების მონაცემების გათვალისწინებით.**

  ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან თანამშრომლობით გამოიცა სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი კატასტროფების GIS ატლასი, რომელშიც მოცემულია სეისმური, მეწყრული, ღვარცოფების, ზვავების საშიშროების რუკები.
- **შეფასდა გვალვების განმეორადობა და კლიმატის ცვლილება საქართველოში;**
- **განხორციელდა ენგურის კაშხლის შესაძლო დაზიანებით გამოწვეული დატბორვის მოდელირება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით;**
- **შედგა ენგურის კაშხლის რაიონის სეისმური საშიშროების, პიკური და სპექტრული აჩქარებების რუკები, შესწავლილ იქნა ენგურის რეზერვუარის შექმნითა და ექსპლუატაციით გამოწვეული ე. წ. ინდუცირებული სეისმურობა;**
- **საფრანგეთ-ევროპის გეომორფოლოგიურ ცენტრთან თანამშრომლობით შეიქმნა საქართველოს მეწყრული და ღვარცოფული საშიშროების რუკები პან-ევროპული სტანდარტით.**

ცენტრმა ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია „დიდი კაშხლების გეოდინამიკური კვლევები“ და გამოსცა კონფერენციის შრომათა კრებული.

ცენტრის მიერ ენგურჰესზე ჩატარებულ კვლევების შედეგებზე გამოქვეყნებულია მრავალი შრომა, მათ შორის ათამდე სტატია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში და კრებულებში. გამოიცა რამდენიმე წიგნი, მათ შორის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „გეოფიზიკური მეთოდები ბუნების დაცვაში“ და ევროსაბჭოს ეგიდით მომზადებული პოპულარული ბროშურები.

ცხადია, რომ ენგურის კაშხლის არე (მილიარდი კუბური მეტრი წყლის რეზერვუარით) დიდი ტექნოგენური კატასტროფის პოტენციალის მატარებელია და ამდენად, მუდმივი მონიტორინგის ქვეშ უნდა იყოს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის აგრეთვე საოცრად საინტერესო ბუნებრივი ლაბორატორიაა, სადაც შესაძლოა ტექტონიკური და ხელოვნური დაძაბულობების (პროცესების) და მათი ურთიერთქმედების შესწავლა. ასევე რეზერვუარის დატვირთვა-განტვირთვის, ანუ დედამიწის ქერქზე კონტროლირებადი ზემოქმედების პირობებში, რეზერვუართან დაკავშირებული ე.წ. ინდუცირებული მიწისძვრების დინამიკის შესწავლა და სხვა.

ამჟამად ცენტრი მუშაობს ძალზე აქტუალურ პრობლემებზე: დაწყებულია მეწყრების და ღვარცოფების უწყვეტი ტელემეტრული მონიტორინგის და ადრეული შეტყობინების ახალი ეკონომიკური სისტემების დამუშავება, საქართველოში მეწყრების და ღვარცოფების პან-ევროპული სტანდარტის ახალი საშიშროების რუკების აგება ტრიგერული ეფექტების გათვალისწინებით (ნალექები, სეისმურობა), მათ შორის კოსმოსური დაკვირვებების გამოყენებით, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ იტალიელი მეცნიერები. რა თქმა უნდა, ენგურჰესის საერთაშორისო პოლიგონზე გაგრძელდება არსებული გეოფიზიკური სტაციონარული დაკვირვებები და ახალი მონიტორინგის მეთოდების, მათ შორის, ლაზერული ექსტენზომეტრების გამოცდა.

თამაზ ჭელიძე,
მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი;
ვახტანგ აბაშიძე,
ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

რუსეთ-თურქეთის გეოპოლიტიკური თამაშები

საქართველოს ახალი (ძველი) ენერგეტიკული შანსი

მას შემდეგ, რაც თურქეთმა და რუსეთმა, მეგობრობის განმტკიცების მორიგი დემონსტრირების კვალდაკვალ, ენერგეტიკული პროექტის „თურქეთის ნაკადის“ გაცოცხლებაც გადაწყვიტეს, გაჩნდა შეკითხვები: რა დგას ამ ჩანაფიქრის უკან, როგორ უყურებს ამ პროცესს საერთაშორისო თანამეგობრობა და ხომ არ დაზარალდება საქართველოს ინტერესები? დარგის სპეციალისტები განმარტავენ, რომ „თურქეთის ნაკადი“ ხელს არ შეუშლის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებს და, პირიქით, საქართველოს ამ ფონზე ხელახლა გამოუჩნდა გამოუყენებელი შანსი.

„თურქეთის ნაკადის“ იდეა ხელახლა გაცოცხლდა 10 ოქტომბერს, როდესაც (მსოფლიო ენერგეტიკული კონგრესისთვის) სტამბოლში ჩასულმა რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ დაანახვეს მსოფლიოს, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებით გამოწვეული მტრობა სრულ დავიწყებას მიეცა და რომ ორი ქვეყანა ერთმანეთს დიდ მეგობრებად თვლიან. სხვა შეთანხმებებთან ერთად, ხელი მოეწერა გადაწყვეტილებას, რომ შავი ზღვის ფსკერზე აუცილებლად გაივლის „თურქეთის ნაკადის“ ორი მილი.

რუსულენოვანი წყაროები იტყობინებიან, რომ ამ ენერგეტიკული პროექტის ორივე მილის მშენებლობა 2019 წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს: ერთი მილით რუსული გაზი თურქეთს (შედარებით იაფად) მიეწოდება, ხოლო მეორე მილით რუსული გაზი ევროპამ უნდა მიიღოს. თითოეულ მილს 15,75 მილიარდი კუბური მეტრის გატარება შეუძლია. რუსულენოვანი მედიის დიდი ნაწილი საქმეს ბოლომდე დაგვირგვინებულად წარმოგვიდგენს, თუმცა ევროკავშირთან ჯერ ისევ შეუთანხმებელია კონკრეტულად იმ მილის მშენებლობის ბედი და მასთან დაკავშირებული დეტალები, რომელმაც გაზით თითქოსდა ევროპა უნდა მოამარაგოს.

დეტალების შეთანხმების აუცილებლობასთან დაკავშირებული მოწოდებები ხშირად ისმოდა ბრიუსელიდან და ამას ჩვენთან საუბრისას **გიორგი ვაშაყმაძეც** იხსენებს, ტრანსკასპიური გაზსადენისა და „თეთრი ნაკადის“ პროექტის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი. თუმცა, როგორც ის ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, „თურქეთის ნაკადი“ ვერანაირად ვერ დააზარალებს საქართველოს ტრანზიტულ ინტერესებს, რომელიც „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებს – TAP-სა („ტრანსადრიატიკის მილსადენი“) და TANAP-ს („ტრანსანატოლიის მილსადენი“) უკავშირდება.

იხ. 6 გვ.

გლეხმა თავისი პროდუქცია თვითონ უნდა გაყიდოს!

შეიძლება, ზოგიერთმა „ჭკუათამყოფელმა“ ბრძანოს: — რა დროს გლეხი და მისი მოსავალია, არჩევნებით ვიყავით დაკავებულიო!.. მაგრამ, კიდევ კარგი, ქვეყანა ასე არ ფიქრობს! სწორედ, არჩევნების დღეებში უნდა შეგვეხსენებინა იმ „ბატონებისთვის“, რომლებიც ასე გამეტებით მიეძალნენ მაღალ „საფეხურებს“ და ხალხისთვის ზრუნვა იკისრეს! თორემ, მერე შეიძლება დაავიწყდეთ, რისთვის ადიოდნენ „მაღლა“!

ამას წინათ რესპუბლიკის ერთ-ერთმა სერიოზულმა და ავტორიტეტულმა გაზეთმა, „საქართველოს რესპუბლიკამ“ სტატია გამოაქვეყნა (2016 წ. 156-ე ნომერი), რომელიც კახელი ფერმერების პრობლემებს შეეხებოდა („უხმოსავლიანობა და დაბალი ფასები კახეთში“), სადაც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მეტად აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ საპროტესტო აქციაზე იყო მოთხრობილი.

მათი განცხადებით, არ არსებობს მოსავლის სარეალიზაციო პუნქტები, იშვიათია გადამმუშავებელი საწარმოები, რომლებიც გააადვილებდა პროდუქციის ჩაბარებას, არ მიუწვდებათ ხელი ქვეყნის საერთო ბაზართან, და გლეხები მხოლოდ გადამყიდველების „ხუშტურებზე“ არიან დამოკიდებული და სამ და ოთხმაგად იაფად უხდებათ პროდუქციის გაყიდვა. „სპეკულანტები“ კი, როგორც უკვე ითქვა, სამმაგ და, ზოგჯერ, ხუთმაგ მოგებას ღებულობენ. ამის შესახებ „ზემდგომთ“, რომ ჰკითხოთ, „ბეჯითად“ გიპასუხებენ, — სიიაფეს უხვმოსავლიანობა განაპირობებსო! მათი თქმით, სახელმწიფო ფასების რეგულაციის პროცესში ვერ ჩაერევა!.. კი, ბატონო, ფასებს თავისუფალი ბაზარი უნდა აწესრიგებდეს და ამ საკითხში სახელმწიფო ვერ ჩაერევა, მაგრამ ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ სახელმწიფო უფრო ეფექტიანად უნდა ზრუნავდეს, რომ გლეხს გაუადვილოს როგორც მოსავლის მოწევა, ასევე მისი გაყიდვა.



აბა, მეტს რას ნიშნავს ნათქვამი: — „სახელმწიფო ხალხზე ზრუნავს?“. ჩვენს ქვეყანაში (ჯერ-ჯერობით!) ხალხი ძირითადად სოფელია, ჯანმაგარი და ძლიერი სოფელი, საიდანაც ქვეყანამ უნდა მიიღოს სიმდიდრე და არ იყოს გადამთიელთაგან მიღებული „ლუკმის“ იმედად!

ამიტომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სოფელს, გლეხს, ფერმერს ამა- თუ იმ პროდუქციის წარმოებაში და გასაღებაშიც!

როგორ უნდა მოხდეს ეს? უპირველეს ყოვლისა, ამ კითხვის დადებით პასუხად შეგვიძლია მოვიყვანოთ მეგობარი ისრაელის ბაღჩა-ბაღებისა და კალმით ნახატს მინამგვანი ბარაქიანი სავარგულების მაგალითი, მაგრამ, ჯერ კიდევ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბრაზილიაში ნანახისა და გაგონილის შესახებ მოგიყვებით მოკლედ.

ამ ქვეყანაში განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ სოფლის მეურნეობისადმი. ყოველნაირად უწყობენ ხელს „სოფლის მუშაკს“, აძლევენ მათ მცირე პროცენტიან სესხებს და მანქანა-დანადგარებს. მოქმედებს, ასევე, იაფი შესანახი მაცივრები, გადამმუშავებელი საწარმოები, და რაც მთავარია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყოველ შაბათ-კვირასა და უქმე დღეებში ეწყობა ბაზრობები ქალაქებში (სწორედ ამან გაგვახსენა „თბილისობა“!), სადაც „გლეხობა“ თვითონ ჰყიდის თავის ნაწარმს, და ამდენად, მინიმუმამდეა დაყვანილი, ე.წ. გადამყიდველის „ფუნქცია“!

...სათანადო სახელმწიფო სტრუქტურები და ქალაქების მმართველობები ფერმერებს უფასოდ უგზავნიან ტრანსპორტს და მისი საშუალებით „გლეხობას“ ქალაქში ჩააქვს პროდუქცია. აქ კი, ქალაქის სპეციალურად შერჩეულ ქუჩებში (როგორც უკვე მოგახსენეთ), თითქმის ყოველ შაბათ-კვირა თუ უქმე დღეებში, იმართება გრანდიოზული ბაზრობები, სადაც გლეხი როგორც გამყიდველის, ასევე მყიდველისთვის ხელსაყრელ ფასებში ჰყიდის თავის საქონელს და... ქალაქს, წელიწადის ნებისმიერ დროს არ აკლია „სოფელი“ და სოფლის მუშაც მოგებული რჩება!

გვიფიქრია მსგავსი სიკეთის შესახებ საქართველოში?... თუ წელიწადში ერთხელ (ისიც იშვიათად!) გამართულ ძველ „თბილისობას“ არ ჩავთვლით, არა მგონია, რომ ვინმეს თავში მოსვლოდა ასეთი რამ! ...და თუ „მოსვლიათ“, გასაგები მიზეზის გამო, არ გაუმხელიათ!

...ასეთ სინამდვილეზე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში ნანახი და განცდილი მაგალითებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მაგრამ შორს წაგვიყვანდა... ამიტომ, როგორც იტყვიან, ჩვენ თავს მივხედოთ!...

...ჩვენში კი რა ხდება? — გლეხი თავის შრომას თვითონ ვერ „აფასებს“ და ვერც მოგებას ღებულობს.. მოსავლის მოწევისა და აღების პერიოდში, სხვადასხვა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო უგროვდება ხვნა-თესვის, სასუქის და ჰერბიციდების, მექანიზაციის მომსახურების, ბანკის და ა.შ. ვალები. თითქმის არსად არის სამაცივრე მეურნეობები, რომ გლეხმა რამდენიმე თვე მაინც შეინახოს პროდუქტები და დაელოდოს ხელსაყრელ პირობებს. არადა, თუ მოწეული პროდუქტებისათვის არ იქნა შერჩეული შესაბამისი შენახვის პირობები, მაშინ ყველა სახის პროდუქტს ეკარგება სასაქონლო სახე და იწყებს გაფუჭებას. ამიტომ გლეხი იძულებულია გადამყიდველებს მინდვრიდანვე მიყიდოს პროდუქტი გადამყიდველის მიერვე შემოთავაზებულ ფასად, რაც ყველა შემთხვევაში მის თვითღირებულებაზე გაცილებით დაბალია. გლეხის მიერ გაყიდული პროდუქტი კი, გახუთმაგებულ ფასად იყიდება ბაზარზე.

ხოლო, თუ გლეხი სათანადოდ ვერ გაყიდის მის მიერ მოწეულ პროდუქტს, ეს საკმაოდ უარყოფითად იმოქმედებს ფერმერულ და კოოპერატიულ საქმიანობაზე! ამიტომ არის სოფლის მეურნეობაში ფერმერების გაკოტრების უამრავი ფაქტი.

ამიტომაა, რომ ამჟამად, ქვეყანაში სოფლის მეურნეობით დაკავებული ყოველი მეორე ფიქრობს მიწის გაიჯარებაზე (თუმცა, უკვე ინდოელებიც უარს ამბობენ ასეთ იჯარაზე), რადგან „ქორ-ვაჭრები“ დადიან მინდორ-მინდორ და გადასული არიან „მინდვრად შეძენილი“ პროდუქტების ყიდვა-გაყიდვაზე, რაშიც გლეხთან შედარებით 3-4-ჯერ მეტს ხეირობენ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ასეთ ყიდვა-გაყიდვას კი, თვით საგადასახადო ორგანოებიც ვერ („ვერ“ და „არ“!...) აკონტროლებენ.

ეს ყველაფერი ისეა „აწყობილი“, რომ არც ერთ ბაზარში გლეხს არ აქვს შესაძლებლობა თავის მიერ მოწეული პროდუქტი თვითონ გაყიდოს მისაღებ ფასებში. ეს პირობები რომ მოგვარებული იყოს, საკმაოდ შემცირდებოდა მომხმარებლებზე პროდუქტების გასაყიდი ფასებიც.

მაგრამ ცხადია, თუ გლეხს „დავჩაგრავთ“ შემოტანილი პროდუქტით, მაშინ ეს კვლავ ჩვენს ფერმერებსა და გლეხობას დააწვება „გულაცრუებად“ და „ზარალად“!. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანაზე, ექსპორტზე და მისგან გამოწვეულ კონკურენციაზე უნდა იფიქროს ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა. ჩვენს გლეხობას კი, უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ საკმარისი პროდუქცია აწარმოოს და ნაკლებაად დაგვჭირდეს შემოტანა! ამისი პერსპექტივა კი საქართველოს ნამდვილად აქვს! მხოლოდ საჭიროა ყაირათიანად მოვეკიდოთ საქმეს!

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რიგ ფერმერებსა და გლეხებს ჯერ კიდევ ახსოვთ იმ საბჭოურ პერიოდში დანერგილი სახალხო მეურნეობის განვითარების პრინციპები, როდესაც სოფლის მეურნეობის მუშაკები მიზერულ ფასებში იძენდნენ შხამ-ქიმიკატებს, თითქმის უფასოდ ემსახურებოდათ სოფლტექნიკა, ქალაქი კი გლეხს ამარაგებდა სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ყველანაირი იარაღ-ინვენტარით, პროდუქტების ტრანსპორტირება ჯდებოდა კაპიკები, გასაყიდ პირობებს უქმნიდნენ საკოლმეურნეო ბაზრებში და ა.შ. დღეს ჩაის პლანტაციებიც კი, ვიღაც ბაუერს მივყიდეთ, მან კი, თითქმის მთელ საქართველოში ამოძირკვა ეს კულტურა და „ასპარეზი დაუთმო“ შემოტანილი ჩაით „ვაჭრობას“!

არც ქალაქელებს გვაქვს ბოლომდე გათავისებული, რომ გლეხს ვერაფრით ვერ ვეხმარებით. მათგან მხოლოდ კარგ, ნატურალურ პროდუქტს ვითხოვთ! პრობლემებზე კი ნაკლებად ვფიქრობთ! ამიტომ ადგილობრივი წარმოების პროდუქტებზე ფასების აწევა არც უნდა იყოს გასაკვირი.

არადა, შეიძლება წყალში ჩაიყაროს ის თანხაც, რომელიც ბოლო წლებში იხარჯება სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად. მართალია, აქ, გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ცდილობს საქართველოს მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მართვის სააგენტო, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით კოოპერატივების განვითარების სააგენტოზე. თუ ყოველი ჩვენგანი (ვისაც ხელეწიფება ეს...) არ იფიქრებს გლეხზე და სოფელზე, მხოლოდ „აქცია“ და „წუწუნი“ ვერაფერს მოგვიტანს!

ვალერი კანკია,
ეკონომისტი;
ზაურ ფიფია,
ჟურნალისტი.

რუსეთ-თურქეთის გეოპოლიტიკური თამაშები

(მეხუთე გვერდიდან)

გიორგი ვაშაყმაძის თქმით, „თურქეთის ნაკადის“ გააქტიურება საქართველოს „თეთრი ნაკადის“ ამოქმედების შანსს უბრუნებს, რადგანაც (16 მილიარდი კუბური მეტრის სიმძლავრის) „თეთრი ნაკადის“ პროექტი, რომელიც თურქმენული გაზის ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპისთვის მიწოდებას გულისხმობს, თავის დროზე, გარკვეულწილად, „თურქეთის ნაკადის“ (ანუ რუსეთის) წახალისების შიშითაც ფერხდებოდა:

„რადგანაც იყო ასეთი კონსენსუსი ევროპაშიც და ამერიკაშიც: ჩვენ არ გვინდა, რომ რუსეთმა გაიფართოოს თავისი არეალი და „სამხრეთის ნაკადი“ ან „თურქეთის ნაკადი“ გააკეთოს და ჩვენ ამის ხელის შეწყობა არ გვინდა... ლოგიკურად ისმოდა კითხვა: აი, ახლა ჩვენ რომ დავაჩქაროთ „თეთრი ნაკადი“, რუსეთს შეჯიბრის ინტერესს გავუჩენთ და ისიც იტყვის, მოდი, მეც გავაკეთებო. მაგრამ ეს დრო უკვე წავიდა. ერდოღანმა და პუტინმა, რაღაც ძალიან სერიოზული თუ არ მოხდა, ამ საქმეში უკვე იმდენი რეპუტაცია ჩადეს, რომ ამას გააკეთებენ“.

შესაბამისად, გიორგი ვაშაყმაძე ფიქრობს, რომ, „თურქული ნაკადის“ იდეის ამოქმედების ფონზე, ახლა საქართველოს მეტი აქტიურობა მართებს „თეთრ ნაკადთან“ დაკავშირებით, რომ ახლა მაინც ადეკვატურად გამოიყენოს მანამდე არაერთხელ გამოუყენებელი შანსი თურქმენული გაზის ევროპაში რეალიზებისთვის „თეთრმა ნაკადმა“ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სხვა პროექტებთან კავშირში უნდა იმუშაოს. შედეგად, თურქმენული გაზის შესაბამისი რაოდენობა სწორედ ამ პროექტებზე განაწილდება.

იმას, რომ „თურქეთის ნაკადი“ ვერ დააზარალებს საქართველოს ინტერესებს, რადიო „თავისუფლებას“ **თემურ გოჩიტაშვილიც** უდასტურებს. როგორც ექსპერტი ეუბნება რადიო „თავისუფლებას“, ამ ენერგეტიკული პროექტის ხორცშესხმა მოსკოვმა კიევის დასასჯელად გადაწყვიტა, რადგანაც ამ პროექტის განხორციელებით უკრაინას სატრანზიტო ფუნქცია ეკარგება.

„თურქეთის ნაკადი“ არის რუსეთის მიზნების განსახორციელებლად, რომ გვერდი აუაროს გზაგაკვალულ, კარგად დალაგებულ და აწყობილ სისტემას, რომელიც უკრაინაზე გადის. პარალელურად, „ჩრდილოეთის ნაკადსაც“ აკეთებს, რომლის მშენებლობაც უკვე თითქმის გადაწყვეტილია. ამიტომ უკრაინაზე გამავალი ნაკადები ძალიან შემცირდება და შეიძლება ამან დიდი დარტყმა მიაყენოს უკრაინას.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ უკრაინის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის სადამსჯელო ჩანაფიქრი უყურადღებოდ არ დარჩება ევროკავშირს და ეს საკითხი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული „თურქეთის ნაკადის“ პროექტის განხილვისას ევროკავშირის სივრცეში. როგორც ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი მუჩაიძემ** უთხრა რადიო „თავისუფლებას“, რუსეთს მოუწევს ენერგეტიკული ქარტიის მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ეს დოკუმენტი მკაცრად გამორიცხავს ენერგეტიკული საკითხების პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენებას.

„თურქეთის ნაკადი“ არის რუსეთის მიზნების განსახორციელებლად, რომ გვერდი აუაროს გზაგაკვალულ, კარგად დალაგებულ და აწყობილ სისტემას, რომელიც უკრაინაზე გადის. პარალელურად, „ჩრდილოეთის ნაკადსაც“ აკეთებს, რომლის მშენებლობაც უკვე თითქმის გადაწყვეტილია. ამიტომ უკრაინაზე გამავალი ნაკადები ძალიან შემცირდება და შეიძლება ამან დიდი დარტყმა მიაყენოს უკრაინას“.

რაც შეეხება თურქეთს, რუსეთთან მეგობრობის აქტიურად დემონსტრირების მიუხედავად, გიორგი მუჩაიძის აზრით, ანკარა მაინც ვერ წავა დასავლური ღირებულებების წინააღმდეგ, რადგანაც თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ამ წევრობას მისთვის დიდი სარგებელი მოაქვს, თუნდაც ჯერ მარტო ტერორიზმთან ბრძოლის ჭრილში.

ლელა კუნჭულია

◎ ხუმარსიტყვა

ჩვენ მარსზე გავფრინდებით!

ამ ორიოდე დღის წინათ, ნაცების მიერ გაყალბებულად მონათლული არჩევნების შესაფასებლად გამართული ბრიფინგიდან რომ ვბრუნდებოდით, ერთმა ჩემმა კოლეგამ აღშფოთება ვერ დამალა.

— არ წაიღეს ტვინი ამ მიშას მიერ დაქოქილმა ნაცებმა, — თქვა მან, — ეს უწმინდურები, ჯერ იყო სახელმწიფო გადატრიალებით გვემუქრებოდნენ, მერე კიდევ ბოიკოტითა და ქუჩის საპროტესტო აქციებით გვაშინებდნენ.

— აბა კაცო, — დავეთანხმე, — მაგათ ამ გაუთავებელ ყიამყრალობას არა სჯობდა, ვინმე მეწარმე გამოეყვანათ ინიციატივით, რომელიც მარსზე ბიზნესის წამოწყებას დააანონსებდა?

— მარსზე ბიზნესი? — ყურები ცქვიტა გოგამ.

— ჰო, რა გიკვირს, — ვეუბნები, — ამერიკელ და ევროპელ მეცნიერთა კვლევით დგინდება, რომ მარსზე საცხოვრებლად თურმე საუკეთესო პირობებია. მაინცდამაინც უნდა ხალხით გაივსოს იქაურობა და მერე დავფაცურდეთ? ამ წურბელა ნაცების გადამკიდეს აქ მაინც არ გვედგომება და ახლავე თუ არ შევუდექით იქ მიწების შესყიდვას, ჩათვალე, რომ ეს საქმე სამუდამოდ წაგებულია.

— რა მიწები, რი მიწები, ჯო, — წაუკახურა გოგამ ჩემს გამოსაჯავრებლად, — ვერ მიგიხვდი?

— მაგას რომ მიხვდე, სიმონ, ჯერ დედამიწის პულსს უნდა მიაყურადო.

— რავა, პულსი ოუჩქარდა თუ?

— ჰო, ოუჩქარდა, ოუჩქარდა, ვერა ხვდები, დედამიწა იღუპება, ძმაო. მას ჯერ გლობალურმა დათბობამ შეურყია ჯანმრთელობა და ახლა კიდევ გამყინვარება და ტერაქტები მოუთავებს ხელს.

— მერე, ჩვენ რა უნდა ვქნათ?

— მაგას არ გეუბნები? უნდა მოვეშვათ ქვეყანაში პარტიების გაუთავებელ კინკლაობას და ვიდრე მარსზე ყველაფერი არ გაყიდულა, მიწები მაინც შევიძინოთ.

— იქაური გაყინული, უწყლო და უსიცოცხლო მიწები ქართველებს რაში გამოგვადგება?

— მერე ვინ თქვა, რომ გაყინული და უსიცოცხლოა. როგორც კვლევები ადასტურებენ, მარსი ღამით არის გაყინული, თორემ დღისით კაი ოცგრადუსიანი სითბოა. იქაური დღე-ღამე ძალიან ჰგავს დედამიწისას, თანაც ნიადაგში უხვად არის წყალი და მინერალები.

— აბა ბორჯომისა და მიტარბის წაღება არ დაგვჭირდება?

— არა, იქვე ჩამოვასხამთ და სარეალიზაციოდ რუსეთისა და ჩინეთის ბაზრებში შევიტანთ.

— რუსეთი რა, ვითომ დედამიწაზე დარჩება?

— რა თქმა უნდა, რუსეთი და ნატო ადგილზე დარჩებიან.

— ნატო რატომღა?

— შენ რა, მთლად გააბდლდი? აბა დაფიქრდი, ნატომ მარსზე ურუსეთოდ რა უნდა აკეთოს?!

— მაგრამ ამერიკა თუ მარსზე დასახლდება (იმას იქ ვერავინ მიასწრებს!), ნატოს ევროპაში ვინ შეაიარაღებს? თანაც, როგორც მახსოვს, ვიდრე მარსი გამოჩნდებოდა, ამერიკელები მგონი მთვარესაც სტუმრობდნენ...

— არ დაიჯერო, როგორც ვიცი, ამერიკელები იქ საერთოდ არ ყოფილან.

— აბა ფილმი რომ გვიჩვენეს?

— აქ, დედამიწაზე გადაუღიათ.

— ტყუილი რაში დასჭირდათ?

— მაშინდელი საბჭოთა ლიდერების გასაცუცურაკებლად. ამერიკელები მთვარეზე რომ დამსხდარიყვნენ, შენ იქიდან გამორეკავდი? ახლა ისეთი ბიზნესი ექნებოდათ გაჩაღებული, რომ ნავთობის საბადოების საოკუპაციოდ ერაყ-სირიის ომი აღარც კი დასჭირდებოდათ.

— შენ ფიქრობ, რომ მარსზე გაზისა და ნავთობის საბადოები იქნება?

— აბა იმხელა პლანეტა ტყუილად ხომ არ გაცდება. რაც შეეხება მიწას, თუ მაინცდამაინც იქაური სავენახედ და საციტრუსედ არ მოგვეწონება, სულაც საქართველოდან შევიტანთ.

— მაგრამ ბენდუქიძე ცოცხალი აღარ არის და ქართულ მიწას ვინ მოგვყიდის?

— სამაგიეროდ ხადური გვყავს, რომელიც აღებ-მიცემობის საქმეში ბენდუქიძეს არაფრით ჩამოუვარდება.

— მაგრამ, როგორც ვიცი, ხადურს ნატო არ ევასება და პოლიტიკაშიც უფრო რუსეთისკენ იხრება.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, როგორც ვთქვი, ნატო ევროპიდან მარსზე გადასვლას არ აპირებს, და მეორეც, — რუსეთს თურმე საქართველოსთან მეზობლობა აღარ სურს და მარსზე უარს ამიტომ ამბობს.

— ეს უკვე კარგია, — მოიწონა გოგამ, — მარსზე რუსეთთან ფლირტი აღარ დაგვჭირდება, მაგრამ ჩვენ ხალხს ფული რომ არა აქვს, მიწებს რით შეისყიდის?

— ხალხს თუ არა აქვს, მთავრობას ხომ აქვს? როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, ჩვენი მთავრობა 6 თვეში უკვე მარსზე იქნება (ეს დრო მარსამდე მგზავრობას სჭირდება) და უზრუნველად იცხოვრებს.

— მერე ჩვენა?

— ჩვენა, ჩემო ძმაო, სხვა თუ ვერაფერი მოვახერხეთ, ავდგეთ და იუპიტერზე დავსახლდეთ. იქ ფართობი აუთვისებელია და მიწებს თურმე უფასოდ არიგებენ.

— მერე, მთავრობა რას იზამს, მარსიდან გვიხელმძღვანელებს?

— სხვა გზა რომ არ ექნება, შე კაცო, უპატრონოდ ხომ არ მიგვატოვებს. პასუხისმგებლობას რომ თავი დავანებოთ, ხალხი თუ არ მწყემსა, პრემია-დანამატებს ჰაერზე ხომ ვერ გამოიწერს?!

ოთარ ხუციშვილი

◎ ანეკდოტები

* * *

— აბა, დახე ე მაგ შენ ჭედილასა, რაღაც ძალიან მოწყენილია, ხო იცი, — ეუბნება ერთი მეცხვარე მეორეს. — ხო არ დაგვეკლა, ჰა?

— მერე, შენა რა გგონია, ეგ მაგას გაამხიარულებს?

* * *

მას შემდეგ, რაც მიხო სატრფომ მიატოვა, იგი მთელ დღეები მზეზე იწვა და გატეხილ გულს იფხანდა.

* * *

ისტორიის გამოცდაზე პროფესორი ეკითხება გურულ სტუდენტს:

— ერთი რთული კითხვა დაგისვათ თუ ორი მარტივი, როგორ გირჩევნიათ?

— სჯობს ერთი რთული კითხვა დამისვათ.

— მაშინ მითხარით, სად გაჩნდა პირველი ადამიანი?

— რა თქმა უნდა, გურიაში.

— ვითომ რატომ მაინცდამაინც იქ?

— აი, ეგ კი უკვე მეორე რთული კითხვაა, ბატონო პროფესორო!

* * *

ჩვენ ახალ წელს კი არ ვზეიმობთ, ჩვენ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ წელში გადავრჩით!

* * *

— მიხო, ბიჭო, სამართლიანობისა თუ გჯერა.

— კი მჯერა, მაგრამ არ ვენდობი!

* * *

მასპინძელი ეკითხება სტუმარს:

— ჩაის მიირთმევთ?

— ჩაის არ ვსვამ.

— ყავას?

— ყავას არ ვსვამ.

— ვისკი ხომ არ გნებავთ კოკა-კოლასთან ერთად?

— არც კოკა-კოლას არ ვსვამ!

* * *

ერთი უმუშევარი უყვება თავის ამბავს მეორე უმუშევარს:

— ყოველთვის, როცა მარკეტში ოჯახისთვის სურსათის საყიდლად მივდივარ, უფრო სოლიდურად რომ წარმოვაჩინო თავი, სამ კუბიკ ბულიონს ვყიდულობ!

◎ წერილი ბათუმიდან

ნურიის ტბა და არა ნურიგელისა!

თქვენი გაზეთის 12 ოქტომბრის 3190-ში დაიბეჭდა ინფორმაცია, „ნავებით ნურიგელის ტბაზე“, რომელშიც მოკლედ, მაგრამ ყოვლისმომცველად ნათქვამია ბათუმის ტბის, ქალაქის ჭეშმარიტი მშვენების მომავლის გეგმებზე. ეს ამბები მკითხველმა პირველად თქვენი გაზეთით გაიგო და ამისთვის დიდად მადლიერი ვართ.

მაქვს ერთი შეხედვით მცირე შენიშვნა, რომლის შესახებ არაერთხელ ადგილობრივ გაზეთებშიც დავბეჭდე, ქალაქის საკრებულოს სხდომებზეც, ჟურნალისტების თანდასწრებით მრავალჯერ ვთქვი, მაგრამ ჩემი სამართლიანი შენიშვნა არავინ გაიზიარა. სწორედ ამითაა გამოწვეული ჩემი თხოვნა თქვენდამი, იქნებ თქვენს უაღრესად მაღალხარისხოვან (შინაარსით და პოლიგრაფიულადაც) გაზეთში ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ შესაბამისმა ორგანოებმა იფიქრონ წლების მანძილზე დანერგილი მცდარი ტენდენციის გამოსწორებაზე.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ბათუმში მდებარე ტბას მიწყივ-დაბადებიდან ნურიის ტბა ერქვა; ოსმალების მოსვლის შემდეგ ეს სახელი „ნური გიოლად“ ითარგმნა, რაც იგივე „ნურიის ტბას“ ნიშნავს. უცხოთაგან ბათუმის გათავისუფლებიდან მრავალი წყლის ჩავლის მიუხედავად, ჩვენი ჟურნალისტები და ოფიციალური ორგანოებიც მას ნურიგელის ტბას უწოდებენ, რაც, არც მეტი, არც ნაკლები ქართულად ,,ნურიის ტბის ტბას“ ნიშნავს.

გთხოვთ ჩემი, როგორც თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველის სამართლიანი გულისტკივილი გამოაქვეყნოთ, ამავე დროს უმორჩილესი თხოვნაა, მომავალში თქვენ მაინც ნუღარ გაიმეორებთ უცხოელთაგან თავსმოხვეულ და ჩვენი ბედოვლათობით დამახინჯებულ გეოგრაფიულ სახელს.

რამაზ სურმანიძე,
მწერალი
ქ. ბათუმი.

P. S. ბათუმის შემოგარენში მრავალი ასე დამახინჯებული ადგილთა სახელი გვაქვს: სოუქ-სუ, გოროდოკი, სტეპანოვკა და სხვ., რომლებიც ასევე აისახება ადგილობრივ პრესაში და ოფიციალურ დოკუმენტებში მაშინ, როცა ყველა მათგანის ქართული სახელი ცნობილია. თუ საჭიროდ ჩათვლით, მათს შესახებაც მოგაწვდით შესაბამის განმარტებას.

რ. ს.

ნოვა NOVA
კრედიტი CREDIT

№13.10.2016 ვ1-01
13 ოქტომბერი 2016 წ.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაციაშა „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა.

ბ-ნ ზოჰრაბ გამბაროვს პ/ნ: (01010003662)

მოგესალმებით ბ-ნო ზოჰრაბ

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2016 წლის 1 ივლისს გაფორმებული ნომერი: № 071605709 საკრედიტო ხელშეკრულების და 2016 წლის 1 ივლისს გაფორმებული ნომერი: №160722899 იპოთეკის ხელშეკრულებების პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: № 071605709-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 2 სექტემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით მოვითხოვთ არსებული დავალიანების უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ხუთი სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნების რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცშა შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი
მელორი ასათიანი,
მინდობილი პირი, საკრედიტოს დირექტორი
გიორგი დოლიძე,
სესხზე პასუხისმგებელი ოფიცერი
ლაშა მეზვრიშვილი

ტელ: 2 15 15 15; 2 340 940

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №257

მცხეთა – მეორე იერუსალიმი

1969-72 წლებში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა გათხრები სვეტიცხოველში. ამ გათხრებმა უამრავი მნიშვნელოვანი მასალა გამოავლინა. სავსებით დადასტურდა „მატიანეს“ ცნობები მირიან მეფის მიერ ხის ეკლესიის აგების შესახებ და გამოვლინდა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ეკლესიის ნაშთები და მისი მასშტაბები...

„მრავალი ღირშესანიშნავი სიწმინდეა საქართველოში, მაგრამ სვეტიცხოველს ყოველი ქართველისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი, ცხოველმყოფელი ძალა აქვს. ეს იმიტომ, რომ სვეტიცხოველთან ერთად მეოთხე საუკუნეში იშვა ქართველი ხალხის ახალი, ქრისტიანული ცხოვრება“.

ალექსანდრე ცაგარელი

„სვეტიცხოველი წარმოადგენს უუსრულეს და სამაგალითო ტაძარს ქართულის ხუროთმოღვრეგისას და მისი გადალი მთელს საქართველოში არ მოიპოვება.“

იაკობ გოგებაშვილი

„მცხეთა მეორე იერუსალიმია... აქ, მტკვრის ნაპირთან,სადაც ქართველებმა ნათელი იღეს, დღემდე შემორჩენილია გამოქვაბული ეკლესიის ნანგრევებით,რომელსაც ბეთლემს უწოდებენ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზუსტად მცხეთის პირისპირ, სამხრეთით, აღმართულია თაბორის მთა.

მთას, რომლის ფერდობზეც გეთსიმანია მდებარეობდა, ერქვა გოლგოთა. ამ მთის მწვერვალზე მირიან მეფემ სამკურნალო ხისგან გამოჭრილი ჯვარი აღმართა. მემატიანის ცნობა ამ ჯვარის აღმართვის შესახებ პირდაპირ ეხმიანება იმპერატორ კონსტანტინეს დედის – ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმში ჯვრის აღმართვის ფაქტს...

ქართველებმა შეძლეს ყოველდღიური საპატრიარქო მსახურება იერუსალიმის მიხედვით აეწყოთ. განმეორდა იგივე, რაც კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის პრაქტიკა თავის სამწყსოში სიონის ეკლესიის პრაქტიკას ეფუძნებოდა და მისივე ტიპიკონით სარგებლობდა, ამ ტიპიკონის შინაარსისა და იმ მიზნის მიხედვით, რომ კონსტანტინოპოლი იერუსალიმს გათანაბრებოდა.

ქართული ეკლესიის იერუსალიმის მიერი წარმომავლობა უეჭველია...“

კორნელი კეკელიძე

„სვეტიცხოველი – ეს უწმინდესი ემბაზი ქართველთა, დიდებგა, მშვენება და სიამაყე ივერიელთა მიწისა, განსასვენებელია მრავალ ქართველთა მეფეთა და კათალიკოსთა. ეს სიწმიდე უტყვი მოწმეა ივერიელთა სულიერი აღორძინებისა, მოგვიანებით რომ შეიქმნენ ერთგული მცველნი ქრისტეს საფლავისა...

კათოლიკოს-პატრიარქი
კირიონი

მსახიობ ზურაბ ცინცქილაძის განცხადება

ამას წინათ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობიდან“ დამირეკეს: წიგნები გვაქვს ფასდაკლებით და ხომ არ შეიძენდითო.

ვუპასუხე: აღარასოდეს თქვენს წიგნს აღარ შევიძენმეთქი!..

და აი, რატომ: ბაქოში ვარ გადაღებაზე და ინტერნეტში ვნახე, რომ ბაკურ სულაკაურს „ქართლის ცხოვრება“ გამოუცია არნახული დამახინჯებით. ახლა წიგნებს ნაკლებად კითხულობენ და მით უმეტეს, მსგავს გამოცემებს. ამიტომ მის მიერ 2012 წელს დასტამბული „ქართლის



ცხოვრება“ ახლა წაიკითხეს. გასაგებიცაა – არსებობს ამ თხზულების არაერთი აკადემიური გამოცემა, ასევე არსებობს მასთან დაკავშირებული არაერთი კომენტარი და სამეცნიერო გამოკვლევა. გამოვიდა წიგნიც „რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება?“ (აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის ავტორობით)...

რა შეიძლებოდა აქ, ანუ დედნისეულ ტექსტში, ახალი ყოფილიყო? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ „აღმოჩნდა“! ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის „მოღვაწეობის“ შედეგად, დედანი დამახინჯდა! ეს მოხდა, ჩვენი ვარაუდით, სომხური ლობის „მოღვაწეობის“ შედეგად. როგორც ამ ლაფსუსის თუ დანაშაულის პირველმა წამკითხველმა – ისტორიკოსმა **ზეინაბ ბუაჩიძემ** გვაუწყა: ტექსტში ჩამატებულია ფრაზა: **„და ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი – სომხური“...**

გამოდის, რომ კავკასიელთა, თარგამოსის შთამომავალთა ენა ყოფილა სოხური! ამგვარი ფრაზა დედანში არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო! თავხედობის დონე: მროველის ტექსტს თავისას უმატებენ! თან, „თვალის ასახვევად“ ძველი ქართული ინტონაციით – **„ამათ ყოველთა იყო ერთი ენაი – სომხური!“**

„ქართლის ცხოვრება“ რამდენიმე საუკუნის წინათ თავად სომხებმაც თარგმნეს და იმათაც კი არ უკადრებიათ ასეთი რამ. მათ მიერ ნათარგმანებსა და გამოცემულშიც არ არის ამგვარი ფრაზა!

ჰოდა, ვზივარ ბაქოს კინოსტუდიაში და იქაური კოლეგა მეკითხება: ასეთი რა წაიკითხე, რამ აგაღელვაო? ვუამბე და ვეკითხები: ასეთი რამ თქვენთან რომ გაეკეთებინა რომელიმე გამომცემლობას, რას იზამდით-მეთქი.

– იმ გამომცემლობას, თავიანთი გამომცემელ-რედაქტორიანად, საერთოდ გავაქრობდითო! ამას ვინ მოითმენდაო!

ჩვენთან კი არათუ მოითმინეს, არც არავინ გამოხმაურებია ამ ფაქტს! მოკლედ, „ჩაიარა“ ამბავმა. მერე გვიკვირს, მესხეთ-ჯავახეთი ჩვენიაო, რომ გვეუბნებიან და სომხების ორგანიზაცია „დეტი ჯავახას“ რომ აარსებენ... გვიკვირს, ჩვენს ტერიტორიაზე ავტონომიას რომ გვთხოვენ და ძირძველ მესხეთის მიწაზე სომხური ენის, როგორც სახელმწიფო ენის შემოღებას!

ახლა კი გთხოვთ, ამ კითხვაზე მიპასუხოს ვინმემ:

არსებობს თუ არა სახელმწიფო პოლიტიკა კულტურასა და მეცნიერებაში და თუ არსებობს, სად გაიუღერა ამ ფაქტზე რეაგირებამ?



„არა კაც კლა!..“

ირინა სარიშვილის

აღიარებანი კომენტარებით

ინტერნეტში, იუთუბზე, მრავალმხრივ საყურადღებო ვიდეოდოკუმენტი გამოქვეყნდა, 1993 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული, სადაც ირინა სარიშვილი თბილისელთა დიდ თავყრილობაზე გამოდის და სიტყვას პოეტ რეზო ამაშუკელისადმი მიმართვით იწყებს. ის რატომღაც „ამუნათებს“, დიდ შეცდომად უთვლის პოეტს, რომ ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ განადგურებაში არ მონაწილეობს. ცნობილია, რომ რეზო ამაშუკელს, მიუხედავად, მაშინაც და მერეც, უმწვავესი, რადიკალური გამოსვლებისა, თოფიარაღი არასოდეს აუსხამს. ზოგადად პოეტს რომ „პოლიტიკოსი ქალბატონი“ კაცის არკვლაში ადანაშაულებს მართლაც, აბსურდის თემაა.

ეს ვიდეოჩანაწერი ჩვენი უახლესი ისტორიის არაადამიანური დაპირისპირების ილუსტრაციაა, რაც სამომავლოდ, როგორც მწარე გაკვეთილი, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ჩანაწერმა სოციალურ ქსელში დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია. იყო საუბრები „ორატორის“ პოლიტიკურ წარსულზეც ა.შ.

(ქვემოთ ტექსტებს ვბეჭდავთ შემოკლებით)

ირინა სარიშვილის გამოსვლიდან:

უნდა გითხრათ, ბატონო რეზო, რომ პირველად გამაღიზიანა თქვენმა ნათქვამმა. კონკრეტულად ის წინადადება მაქვს მხედველობაში, თქვენ როცა თქვით, რომ აი, ხვალ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათო. ჩვენ წელიწად-ნახევარია ყველაფერს თავის სახელს ვარქმევთ. ეს არ შეიძლება. ... ამითი გადაწყდება თითქოს ყველაფერი. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ასე არ არის. ვნახეთ, რომ ის საფრთხობელა, რაც წელიწადზე ცოტა ნაკლები აქ პრეზიდენტად იყო და შემდეგ გროზნოში გავუშვით და სხვათა შორის, ის პირები არა ნაკლებ პასუხისმგებლები არიან დღეს, ვინც ის ცოცხალი გაუშვა! (ტაში)

...და ახლა, ყველაზე ისეთ დროს, როცა სოხუმი ეცემოდა, ესეც ყველამ კარგად ვიცით, როცა დასავლეთ საქართველოს პრობლემა დგას მთლიანად, ეს, ისევ იმ სიტყვას ვიხმარ, საფრთხობელა, კვლავ მოიწევს თბილისისკენ. ალბათ სხვა ქვეყნისთვის ეს სასაცილო იქნებოდა... ჩვენ ქვეყანაში რომ ხდება ეს ამიტომ არ გვეცინება ალბათ, თორემ ნამდვილად ტრაგიკული სწორედ ის არის, რომ აი, ასეთი ადამიანი... მე იმდენი შეურაცხმყოფელი რამე მაქვს მისი მისამართიოთ ნათქვამი, რომ არ მინდა, ახლა მართლა ტაშის დაკვრის გულისთვის ვიხმარო ის სიტყვები: მანიაკი, პათოლოგი და ა.შ... ვიცით ჩვენ ყველამ ვისთანაც გვაქვს საქმე. ეს მისი სირცხვილი კი არ არის, ეს არის ჩვენი ქვეყნის, ჩემი, თქვენი, თითოეული ჩვენგანის სირცხვილი, რომ ეს ადამიანი ჯერ პრეზიდენტი გახდა და დღეს კიდევ მიწაზე დადის, კიდევ აქ ჩამოვიდა და კიდევ რაღაც მუქარებს გზავნის.

თვითონ ბატონმა ედუარდმა დღეს თავის რადიოგამოსვლაში გააკეთა განცხადება სნგ-ში შესვლის თაობაზე. მთავრობა ერთსულოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ვინც უშლიდა ხელს ერთსულოვნებაში, ის აღარ არის ამ მთავრობაში, ამიტომ დღეს შეიძლება ითქვას, რომ ერთსულოვანია...

სანამ ზვიად გამსახურდიას პრობლემა არსებობს საქართველოში, არც სნგ-ში შესვლით, არც სნგ-ში შეუსვლელობით, არც ევროგაერთიანებაში შესვლით და ამერიკის შტატადაც რომ მიგვიღონ, არაფერი საქართველოს არ ეშველება. ნება მიბოძეთ კატეგორიულად არ დავეთანხმო სახელმწიფოს მეთაურს. გუშინ იყო თუ დღეს მან თავის ინტერვიუში მრძანა, მოვიდა დრო, რომ ზვიად გამსახურდიას საკადრისი პასუხი გაეცეს და მას გროზნოში ელოდებიან. არა, ბატონო ედუარდ! არ შეიძლება ზვიად გამსახურდიას გაშვება გროზნოში! (ტაში). ზვიად გამსახურდია, როგორც თავისი ერის შვილი, თუნდაც როგორც თავისი ერის სირცხვილი უნდა დარჩეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, სახეცვლილი მდგომარეობით აქ, საქართველოში და მაშინ ვილაპარაკოთ ჩვენ საქართველოს გადარჩენაზე საერთოდ. გმადლობთ! (ტაში)

მოგვიანებით ირინა სარიშვილმა ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარ ფეისბუქზე პასუხი გამოაქვეყნა:

„რაც შეეხება ამ კონკრეტულ ვიდეოს.

უმძიმესი სანახავია ჩემთვის. იმდენად მძიმე, რომ ეს დღეები პარალიზებული ვარ, რადგან მართლა არ მახსოვდა ეს გამოსვლა, თუმცა ეს პერიოდი მთლიანად აღვიდგინე მეხსიერებაში: ზემოთ თქმული ინფორმაცია, პოლიტიკური აზრის გამოხატვის ამაზრზენი ფორმა, ზოგადად იმ დროს გამეფებული სიძულვილის და აგრესიის ენაა, როცა ყველა ერთმანეთს უხვად ვურიგებდით სუკ-ის აგენტების, მოღალატეების იარლიყებს, ადვილად ვიჯერებდით ერთმანეთზე მართლა სუკ-ის მიერ გავრცელებულ ჭორებს... პოლიტიკისთვის უმწიფარი ასაკი – მოკლედ ეს ყველაფერი ერთად გამოხატულია ამ გამოსვლაში, რითაც სხვებზე მეტად მე თვითონ ვარ შეძრწუნებული და არც ვიცი როგორ, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი სინანული.

ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ – ჩემ სიტყვებს არანაირი გამართლება არა აქვს – ამას ვამბობ მხოლოდ იმიტომ რომ ეხლა მაინც მივხვდეთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

დღევანდელ დღემდე ჩემი შეცდომებით და თუნდაც, ამ ყოვლად დაუშვებელი გამოსვლით, აქამდე მოსული, კიდევ და კიდევ ჩემ წილ მოდიშს ვიხდი იმ სიძულვილის ენისთვის, რითაც ბევრი წელი დავდიოდით ამ მიწაზე. 1989 წლიდან ეს ენა მეფობდა და ამ სიძულვილის მორევში ვიყავით ყველა – მტყუანიც და მართალიც!

ეხლა კი, ვისაც პატიების უნარი გაქვთ – არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ვისი მომხრეა. ვინ ზვიადისტია და ვინ ვისისტი, კიდევ ერთხელ – ბოდიში ამ ამაზრზენ სიტყვებზე, რაც არ მახსოვდა და ერთადერთი კარგი იმაში რომ არ მახსოვდა ისაა, რომ ერთი წუთით გულში არ მედო ის, რაც მაშინდელი სიძულვილის ენით ჩემი პირიდან ამოვიდა.

ბოლოს კი არ შემიძლია არ სხვანაირად ამ ბორბოტებას ვერ დავამარცხებთ!

მე ვთხოვ ენმ-ს ახალ ფრაქციას და მათთან დაახლოებულ პირებს, თუნდაც ოჯახის წევრებს: მ�მივმართო მაინცდამაინც დღეს, ამ არჩევნების მერე, ამ ვიდეოს მპოვნელ და გამავრცელებელ ჯგუფს:

პირველ რიგში დიდი მადლობა რომ ეს ცოდვა არ დამიტოვეთ მოუნანიებელი, თუმცა ეჭვი მეპარება, რომ თქვენ ან ჩემში სინანულის გამოწვევის სურვილი ან ზვიად გამსახურდიას მიმართ სიყვარული გამოძრავებდეთ, ვინც არ უნდა იყოთ. მე ეს უფრო ამ არჩევნებში უზურპაციის გზით მოსული ხელისუფლების გეგმის ნაწილი მგონია. მათ უკვე განაცხადეს სატელევიზიო სივრცის დაბალანსების, სხვადასხვა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ და ერთადერთი, რასაც ვერ აკონტროლებენ, სოციალური ქსელია. ამიტომ ყველაზე, ვისაც ივანიშვილის ბოლო მუქარის – საკაშვილის და ენმ–ს განადგურების საწინააღმდეგო აზრი აქვს და აქაც ასე თუ ისე გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ყველაზე დაიწყება მსგავსი და შესაძლებელია სხვანაირი შეტევებიც.

მე ვთხოვ მათ, ვინც თანამოაზრეებად ვითვლებით დღეისათვის და ვისთვისაც არ ხმა და არც ფული არ მითხოვია, არ ჩაგვითრიოს ამ 25 წლის წინ დაწყებულმა აგრესიამ ახალი ძალით და ისევ ამ ქვეყნის სიყვარულმა გადაგვაბიჯებინოს თუნდაც წარმოუდგენელ სიტუაციებში საკუთარ თავზე – რე რა რომ მე ხმა თქვენ როგორც მიხეილ საკაშვილის პარტიას მოგეცით; მერე რა რომ მე პარლამენტში არშესვლაში, მეტ სარგებელს ვხედავდი, ვიდრე შესვლაში – ამისთვის ერთმანეთს ხომ არ უნდა გადავემტეროთ!

ადრეც გითხარით და ეხლაც გიმეორებთ: თქვენ ხმა მოგცეს ივანიშვილის დასამარცხებლად და არა მიშას ან მისი რომელიმე თანამოაზრის ან დღევანდელი მომხრის წინააღმდეგ სამოქმედოდ, რაც ივანიშვილის გეგმებში შედის!

და მიუხედავად იმისა რომ მე ვერ ვხედავ აზრს თქვენი მცირერიცხოვანი ფრაქციით ქოცების და პატრიოტების ორ მესამედთან გვერდით ყოფნაში, წარმატებებს გისურვებთ ივანიშვილის წინააღმდეგ მრძოლაში.

P.S. მე დღეს ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ისევ იმ სიძულვილის მორევში არ აღმოვჩნდეთ, საიდანაც ბევრმა უკვე დავაღწიეთ თავი...

ჩვენ ბევრად მნიშვნელოვანი მტერი გვყავს დასამარცხებელი – ამ ქვეყნის მტერი!

არ ვიცი, რამდენად გასაგებად დავწერე, რაც დავწერე.

ასე არასდროს მინერვიულია, როგოც ამ წერილის წერისას.

აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია გამუდმებული ტაში, რაც თან ახლდა ორატორის გამოსვლას, ანუ ეს იყო, როგორც ჩანს, დარბაზის საერთო განწყობა. რატომ ხდება ასე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში? ეს უახლესი წარსულია! მეორდება თუ არ მეორდება დრო?

საყურადღებოა, რომ ირინა სარიშვილის ამ პასუხის შემდეგ, „ისტორიის ფურცლების“ სახელით იუთუბზე ატვირთულ ვიდეოს ასეთი კომენტარი დაერთო:

„ARC ERTOI ადამიანი არ უნდა გაიწიროს! ამ ვიდეოს ხელახლა გასაჯაროებაც არ ისახავს ამგვარ მიზანს, მით უმეტეს, შესაძლოა, საქმე გვაქვს ამ „ორატორის“ „შინაგან გაორებასთან“. თუმცა, არის ერთი მომენტი: თავად ეს ადამიანი (ი. სარიშვილი) გადასცდა ყოველგვარ დასაშვებ და დაუშვებელ ზღვარს... ბოლოს წინა წვეთი იყო, მისი მხრიდან, ია მეტრეველის შეურაცხყოფა და სულ ბოლო წვეთი კი – მისი მორიგი წაქეზება – ქვეყანაში ახალი სამოქალაქო შუღლისაკენ (ამ ვიდეოდან ფრაგმენტები ისედაც მოხვდებოდა ვრცელ დოკუმენტურ ფილმში იმ წლების მოვლენებზე. ფილმი თავის დროზე დასრულდება და გაიმართება მისი ჩვენება). კომენტარებში კი, მისი მისამართით ლანძღვა-გინების ფონზე, ერთი ფრაზაა საინტერესო – ამ ადამიანის გაორებულ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს გამოქვეყნებულ მისივე ვრცელ პასუხში მოულოდნელად ამბობს, არ მახსოვდაო(?!).

ჯერ ერთი, როგორც ჩანს, ეს გამოსვლა სრულიად უწყინარ „გამოხდომად“ მიაჩნია იმ ფონზე, რასაც სხვა შემთხვევებში ხილულად თუ ფარულად სჩადიოდა. ამიტომაც „დაავიწყდა“? აბა, როგორ უნდა გადაგავიწყდეს საქვეყნოდ, ტრიბუნიდან პრეზიდენტის მოკვლის მოთხოვნა? „სრულიად მტრულ გარემოში გამოსვლა“. რასაც ის თავის პასუხში აღნიშნავს, რბილად რომ ითქვას, უტრირებაა. ასეთ „მტრულ“ გარემოში ტრიბუნიდან, ულტიმატუმის სახით, არ მოითხოვენ „სახელმწიფოს მეთაურისგან“ ადამიანის ლიკვიდაციას და მქუხარე ტაშს არ ღებულობენ საპასუხოდ. ამ ვიდეოში ხაზს უსვამს, სხვების პასუხისმგებლობას, რომ თბილისის ომიდან ცოცხალი გაუშვითო საქართველოს პრეზიდენტი. ესე იგი, თვითონ, ჯერ კიდევ 1992 წლის იანვარშიც სურდა და შესაძლოა, მაშინაც მოითხოვდა პრეზიდენტის ფიზიკურ ლიკვიდაციას... ასე, რომ „არ მახსოვდა“, ვერ მიიღება. მით უმეტეს, სხვა დოკუმენტური მასალაც არსებობს ე.წ. „ედპ“-ზე... მეორე მომენტია, რაზეც მიანიშნებს, მაშინ ყველა ასე გამოვხატავდით სათქმელსო. მოკვლისკენ ასეთი პირდაპირი, დაუნიებული, სადისტური მოწოდება სხვა არ გვახსენდება. თუ ამ ადამიანს მართლა დაავიწყდა რას, როგორ მოითხოვდა, თანაც არა ერთხელ, ეს ალბათ ფსიქიკური გაორების შემთხვევაა. თანაც აშკარად ვერ აცნობიერებს, რომ დღესაც იმავე მძაფრი გამოხატვის ფორმებს მიმართავს სხვა პოლიტიკური ლიდერების „ამოსაძირკვად“. გმობს წარსულს, თავს „იმართლებს“? არ მახსოვდაო, ასე არ უნდა გავწიროთ ადამიანებიო, მაგრამ იმავეს იმეორებს დღესაც და ნუთუ ვერ ხვდება ამას? სხვა შემთხვევაში, უბრალოდ დაუსჯელი კრიმინალია, რომელიც დაუსჯელობის გამო ახალ სისხლიან კალოს მოაწყობდა სამშობლოს „გადასარჩენად“. სარიშვილმა ვერ და არ ისწავლა ისტორიის გაკვეთილი. ამიტომ ისტორია მას სჯის და ალბათ მომავალშიც დასჯის.

P.S. ამ ვიდეოს „რეანიმირების“ მიზანია არ მოტყუვდეს ახალი თაობა, რომელსაც დაუმალეს, „დაავიწყეს“ უახლესი ტრაგიკული ისტორიის ფურცლები“.

PORTA BATUMI TOWER-ის მშენებლობა 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება

ბათუმში მრავალფუნქციური სასტუმრო საცხოვრებელი კომპლექსი „პორტა თაუერის“ (Porta Batumi Tower) მშენებლობის პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე გაეცნენ.

„პორტა თაუერი“ აღჭურვილია სხვადასხვა ზომის სტუდიოს ტიპისა და ორ-სამოთახიანი საცხოვრებელი ფართებით, ასევე ზღვისა და მთის ხედის მქონე 12 პენტჰაუსით. გარდა საცხოვრებელი სახლებისა, „პორტა თაუერი“ შედგება რამდენიმე შენობისგან. მიწისქვეშა დონეზე განთავსებულია 2-სართულიანი ავტოსადგომი მაცხოვრებელთათვის. ნულოვან სართულზე მოთავსებულია 12 სავაჭრო ფართი. კომპლექსში აგრეთვე მოთავსდება 100-ნომრიანი სასტუმრო ტერასის რესტორნით და ფიტნეს-სპა ცენტრით. გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია კაფე-ბარი და საოფისე ფართების მოწყობა.

თავისი დიზაინითა და კონსტრუქციით Porta Batumi Tower არის მსოფლიო დონის პროექტი, რომელიც აშენებულია უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორიცაა საქართველოში მოქმედი „Barrette Pilings“. კონსულტაციებისა და მშენებლობის კონტროლს ახორციელებს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი. ხოლო Porta Batumi Tower-ის მსოფლიო დონის დიზაინი შეიმუშავა გაერთიანებული სამეფოს ცნობილმა არქიტექტორმა ბროდვეი მალიანმა. მისი განხორციელებისთვის საქართველოში 70 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა. მრავალფუნქციური სასტუმრო საცხოვრებელი კომპლექსის „პორტა თაუერის“ მშენებლობა 2016 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ისტორიული სოფლის ახალი სიცოცხლე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ასურეთი ისტორიული სოფელია, სადაც მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ჩასახლებული გერმანელები ცხოვრობდნენ. შესაბამისად, სოფელში მრავლადაა გერმანელი მოსახლეობის მიერ აშენებული სრულიად განსხვავებული და ორიგინალური არქიტექტურის საცხოვრებელი სახლები.

პროექტის ფარგლებში ასურეთში 2 ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. 9 აპრილის ქუჩაზე 1, 2 კმ სიგრძის გზის მონაკვეთზე 2-ფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის, სანიაღვრეების, რკინაბეტონის კიუვეტების, ეზოში შესასვლელების მოწყობის სამუშაოები ტარდება. შვაბების ქუჩის 1.1-კილომეტრიან მონაკვეთზე გათვალისწინებულია ქვაფენილიანი საფარის, სანიაღვრეებისა და საკანალიზაციო სისტემების, ქუჩის განათებისა და ღობეების მოწყობა.

სოფელში, ასევე, იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლების რეაბილიტაცია ავთენტურობის შენარჩუნებით. პროექტის განხორციელების შედეგად, გარდა იმისა, რომ მოსახლეობა კომფორტულად და უსაფრთხოდ შეძლებს გადაადგილებას, ასურეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და მიმზიდველი სოფელი გახდება, რაც აღნიშნული სოფლით გერმანელი ტურისტების დაინტერესებას შეუწყობს ხელს. პროექტს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს.

მოწვევა ტენდერებზე

საქართველო

შავი ზღვის გადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში

ტენდერის # ET VEHICLES 04-2016
სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა

საქართველო, შემდგომში „შემსყიდველი“ აპირებს ევროპის საინვესტიციო ბანკისგან („ბანკი“) მიღებული სასესხო სახსრების ნაწილი გამოიყენოს „მანქანების“ შესყიდვის მიზნით, **შავი ზღვის გადამცემი ქსელის პროექტის ფარგლებში**.

შემსყიდველი იწვევს მომწოდებლებს დალუქული ტენდერების წარმოსადგენად, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული, ქვემოთ წარმოდგენილი კონტრაქტებისთვის (შემდგომში: „კონტრაქტები“), რომელთა დაფინანსება გათვალისწინებულია სასესხო სახსრების ნაწილით. კონტრაქტები დაკავშირებულია **ორ (2) ლოტთან (I და II)**. მოცემული პაკეტის (და აღნიშნული ლოტების) ფარგლებში განხორციელდება ქვემოთ წარმოდგენილი შემდეგი საქონლის მოწოდება:

ლოტი I – მაღალი გამტარობის (ოთხსაბურავიანი) სედანის ავტომობილი;

ლოტი II – მაღალი გამტარობის (ოთხსაბურავიანი) „ფიქ-აფი“;

ტენდერის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ ტენდერი (ტენდერები) ერთი, ან ორივე ლოტისთვის. თითოეული ლოტის გაფასება უნდა განხორციელდეს ცალ-ცალკე და მათი წარმოდგენა მოხდება ცალ-ცალკე დალუქულ ტენდერებში. ორივე ლოტის ტენდერის შემთხვევაში შესაძლებელია ფასდაკლების შეთავაზება; აღნიშნული ფასდაკლებები გათვალისწინებული იქნება ტენდერების შედარების პროცესში.

ტენდერი კონტრაქტებისთვის, რომელთა დაფინანსება გათვალისწინებულია ბანკის სასესხო სახსრების ნაწილით, ღიაა ნებისმიერი ქვეყნის კომპანიებისთვის.

თითოეული კონტრაქტის მინიჭებისთვის აუცილებელია, რომ ტენდერში მონაწილეებმა დააკმაყოფილონ ქვემოთ წარმოდგენილი **მინიმალური კრიტერიუმები** (გთხოვთ იხ. სატენდერო დოკუმენტის შეფასების და საკვალიფიკაციო კრიტერიუმების III ნაწილი).

საშუალო წლიური ბრუნვა

● ძირითადი მომწოდებლის საშუალო წლიური ბრუნვის (მომწოდებელი და მოწოდების პროცესში მყოფი საქონლის და მომსახურების ბილინგის სახით) მოცულობა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 113,000 (ასცამეტი ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს ტენდერს ორივე ლოტისთვის, მოთხოვნებით გათვალისწინებული საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი (3) წლისთვის დაანგარიშდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

ფინანსური რესურსები

● ტენდერის მონაწილემ უნდა დაასაბუთოს ხელმისაწვდომობა ლიკვიდურ აქტივებზე, ან ლიკვიდური აქტივების, დავალიანებისგან თავისუფალი უძრავი ქონების, საკრედიტო ხაზების და სხვა ფინანსური საშუალებების ფლობა, რაც საკმარისი იქნება კონტრაქტის ფულადი მიმოქცევის წარმოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; აღნიშნული თანხა უნდა შეადგენდეს დაახლოებით მინიმუმ 75,000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 31,000 (ოცდათერთმეტი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის, ტენდერის მონაწილეების მიერ სხვა კონტრაქტების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს ტენდერს ორივე ლოტისთვის, მოთხოვნებით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების დაანგარიშება განხორციელდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

გამოცდილება

● მომწოდებლის გამოცდილება ბოლო სამი (3) წლის მანძილზე უნდა მოიცავდეს მინიმუმ ორ (2) კონტრაქტს, ხოლო თითოეული საკონტრაქტო ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 60,000 (სამოცი ათასი) ევროს ეკვივალენტს I ლოტისთვის და 25,000 (ოცდახუთი ათასი) ევროს ეკვივალენტს II ლოტისთვის. აუცილებელია, რომ ზემოთ აღნიშნული კონტრაქტები წარმატებულად და არსებითად იყოს დასრულებული და მოწოდების სფერო იყოს შემოთავაზებული საქონლის ანალოგიური. მსგავსება დაფუძნებული უნდა იყოს ფიზიკურ ზომაზე, სირთულეზე, მეთოდებზე/ტექნოლოგიაზე და სხვა მახასიათებლებზე, მეორე ნაწილის, მოწოდების მოცულობის და ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. *დამკვეთის სერტიფიკატების, სარეკომენდაციო ნუსხის, ISO სერტიფიკატების წარმოდგენა მოხდება ტენდერთან ერთად, ტენდერის მონაწილეების კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით.*

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე წარმოადგენს ტენდერს ორივე ლოტისთვის, გამოცდილების კალკულაცია მოხდება ჯამური მონაცემების საფუძველზე.

სატენდერო დოკუმენტის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, არანაზღაურებადი 50 ევროს, ან კონვერტირებად ვალუტაში აღნიშნული თანხის ეკვივალენტი რაოდენობის გადახდის საფუძველზე. გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

ლიბერთი ბანკი, თბილისი, საქართველო
სვიფტ კოდი: LBRTGE22
ანგარიში: GE87LB0113117903752004
ფინანსური მედიატორი 1:
სს „დოიჩე ბანკი“ (Deutsche Bank AG),
ფრანკფურტი, გერმანია
სვიფტ კოდი: DEUTDEFF
ანგარიში: 100-9477233-0000
ფინანსური მედიატორი 2:
სს „კომერცბანკი“ (Commerzbank AG)
სვიფტ კოდი: COBADEFF
ანგარიში: 400-8864068-00

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე საქართველოს რეზიდენტია, 50 ევროს გადახდა მოხდება აღნიშნული ოდენობის თანხის ეკვივალენტი მოცულობით ლარში. კალკულაცია მოხდება გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი სავალუტო კურსის საფუძველზე. გადახდა განხორციელდება შემდეგ ანგარიშზე:

GE98LB0113117903752000 (ლარის ანგარიში).

არანაზღაურებადი საზღაურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის მიღების შემდეგ, დოკუმენტების გაგზავნა მოხდება დაუყოვნებლივ, კურიერის საშუალებით, თუმცა პასუხისმგებლობა დანაკარგის, ან დაგვიანებული მოწოდებისთვის გათვალისწინებული არ არის. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია დოკუმენტების გაგზავნა ელექტრონულად, ტენდერის სავარაუდო მონაწილის მიერ არანაზღაურებადი საზღაურის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ. დოკუმენტების ელექტრონულ და მყარ ვერსიებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დოკუმენტის მყარ (ბეჭდურ) ვერსიას.

თითოეული ტენდერის წარმოდგენა უნდა მოხდეს სატენდერო გარანტიასთან ერთად. სატენდერო გარანტიის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ:

ლოტი I – 2200.00 (ორიათას ორასი) ევრო
ლოტი II –900.00 (ცხრაასი) ევრო

ტენდერების წარმოდგენა ოფისში უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე, არა უგვიანეს 2016 წ. 14 ნოემბრის 15:00 საათისა; აღნიშნულ დღეს და დროს მოხდება ტენდერების გახსნა, ტენდერის მონაწილეების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

ტენდერის სავარაუდო მონაწილეების ნუსხის ნახვა, რომლებმაც შეისყიდეს სატენდერო დოკუმენტები, შესაძლოა ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

ტენდერის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება, ასევე სატენდერო დოკუმენტების გადახედვა და შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე:

შპს „ენერგოტრანსი“
ბარათაშვილის ქ. №2
0105, თბილისი, საქართველო
დირექტორი: ბ-ნი კ. სეხნიაშვილი
ტელ.: +995 32 510391
ფაქსი: +995 32 510315
ელ. ფოსტა: m.gikoshvili@energotrans.com.ge

INVITATION FOR TENDERS

Georgia

In the framework of the Black-Sea Transmission Network Project

Tender #: ET Vehicles 04-2016
Procurement of Vehicles

Georgia, hereinafter referred to as "the Purchaser", intends to use part of the proceeds of a loan from the European Investment Bank (EIB) (the Bank) towards the cost of Procurement of "Vehicles" in the framework of **the Black-Sea Transmission Network Project**.

The Purchaser now invites sealed tenders from Suppliers for the following **EIB financed contracts**, hereinafter referred to as "the Contracts", to be funded from part of the proceeds of the loan. The contracts regard **two (2) Lots (I & II)**. Within this Package (and these Lots) the following goods shall be supplied:

Lot I – Four wheel drive Sedan vehicles;

Lot II – Four Wheel Drive Pick-up Vehicle;

Tenderers are allowed to submit their Tender(s) for any one or both of the above mentioned Lots. Each lot must be priced separately and shall be submitted in separate sealed Tenders. Tenders for both lots may offer discounts and such discounts will be considered in the comparison of tenders.

Tendering for contracts that are to be financed with the proceeds of a loan from the Bank is open to firms from any country.

To be qualified for the award of each of the contracts, Tenderers must satisfy the following **minimum criteria** (please refer to Section III Evaluation and Qualification Criteria of the Tender Document):

Average Annual Turnover

- Average annual turnover as prime Supplier (defined as billing for Goods and Services delivered and under delivery) over the last three (3) years of Euro 113,000 (one hundred thirteen thousand) equivalent for Lot I and Euro 50,000 (fifty thousand) for Lot II.

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the required Average Annual Turnover for the last three (3) years shall be calculated accumulatively.

Financial Resources

- The Tenderer shall demonstrate that they have access to, or have available, liquid assets, unencumbered real assets, lines of credit, and other financial means sufficient to meet the production cash flow for the contract estimated as not less than Euro 75,000 (seventy five thousand) equivalent for Lot I and Euro 31,000 (thirty one thousand) for Lot II, taking into account the Tenderer's commitments for other contracts.

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the required Financial Resources shall be calculated accumulatively.

Experience

- Experience as Supplier, in at least two (2) contracts within the last three (3) years, each with a value of at least Euro 60,000 (sixty thousand) for Lot I and Euro 25,000 (twenty five thousand) for Lot II, that have been successfully and substantially completed and that are similar to the proposed Goods. The similarity shall be based on the physical size, complexity, methods/technology or other characteristics as described Part 2. Scope of Supply and Technical Requirements. *Employer's Certificates, reference lists, ISO Certificates shall be provided with Tender for the evidence of Qualification.*

In case a Tenderer submits Tenders for both lots, the Experience shall be calculated accumulatively.

The Tender Document may be obtained from the office at the address below, upon payment of a non-refundable fee of Euro 50 or equivalent in a convertible currency. The fee has to be paid on the following account:

Liberty Bank, Tbilisi, Georgia
Swift: LBRTGE22
Account:
GE87LB0113117903752004
Intermediary 1:
Deutsche Bank AG, Frankfurt, Germany
Swift: DEUTDEFF
Account: 100-9477233-0000
Intermediary 2:
Commerzbank AG
Swift: COBADEFF
Account: 400-8864068-00

In case when the Tenderer is a Georgian resident the payment of Euro 50 shall be made in GEL calculated based on the exchange rate of the National Bank of Georgia on the date of payment. The payment shall be made on the following account:

GE98LB0113117903752000 (GEL account).

Upon receiving appropriate evidence of payment of the non-refundable fee, the documents will be promptly dispatched by courier; however, no liability can be accepted for loss or late delivery. If requested the documents can also be dispatched electronically after the presentation by the prospective tenderer of appropriate evidence of payment of the non-refundable fee. In the event of discrepancy between electronic and hard copies of the documents, the hard copy shall prevail.

All tenders must be accompanied by a tender security. The amount of the Tender Security shall be not less than

LOT I - Euro 2200.00 (two thousand two hundred)

LOT II – Euro 900.00 (nine hundred)

Tenders must be delivered to the office at the address below on or before 15:00 p.m. local time, on November 14. 2016, at which time they will be opened, in the presence of those tenderers' representatives who choose to attend.

A register of potential tenderers who have purchased the tender documents may be inspected at the address below.

Prospective tenderers may obtain further information from, and also inspect and acquire the tender documents at, the following office:

Energotrans Ltd.
2, Baratashvili Street
Tbilisi 0105, Georgia
Attention:
Mr. K. Sekhniashvili
Director
Tel.: +995 32 510391
Fax: +995 32 510315
Mail: m.gikoshvili@energotrans.com.ge

◎ არცერთი ჩვენი მეგობარი ქვეყანა ნაცებს მხარს არ უჭერს

თურქეთის ხელისუფლებამ სააკაშვილს სარფში აქციის ჩატარების უფლება არ მისცა

5 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ორგანიზებული წინასაარჩევნო აქცია მიხეილ სააკაშვილის ოდესიდან ჩართვით დაიწყო. სააკაშვილის გეგმა, რომ აქციის მონაწილეებისთვის თურქეთიდან, კერძოდ, სარფიდან მიემართა და, ასევე, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან გაემართა შეხვედრა, ვერ შედგა.

მიზეზი კი, ოფიციალური თურქეთის გადაწყვეტილება გახდა. თურქეთის ხელისუფლებამ სააკაშვილს პოლიტიკური ტრიბუნა არ მისცა. for.ge-მ ინფორმაცია თურქეთის საელჩოში გადაამოწმა, როგორც საელჩოში გვითხრეს, შეკითხვის სწორი ადრესატები არ არიან, რადგან აღნიშნული ინფორმაცია არ აქვთ. ინფორმაცია არ აქვთ არც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელის **მამუკა არეშიძის** განცხადებით, სააკაშვილის მიერ დაგეგმილი აქცია არ ჩატარდა, რადგან თურქეთის ხელისუფლებამ არ მოინდომა აქციის ჩატარება.

„მსოფლიო პოლიტიკა მარტო ღია მხარით არ უნდა განვიხილოთ, კულუარული მოქმედებებიც არის. ყველას ახსოვს სააკაშვილის განცხადება, რომ არჩევნების წინ აუცილებლად ჩაატარებდა აქციას სარფში. ვიცი, რომ ამას აპირება და ამ ხერხით ცდილობდა, მოეხდინა თანამოაზრეთა კონსოლიდაცია, მაგრამ ეს აქცია არ ჩატარდა და არ ჩატარდა იმიტომ, რომ თურქეთის ხელისუფლებამ არ მოინდომა ამის გაკეთება. არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის თამაშს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში და ცდილობს, ეს ილუზია, რაც სააკაშვილის გარშემო არსებობს მსოფლიოში, გაფანტოს", – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას მამუკა არეშიძე.

მისივე თქმით, პარალელურად სააკაშვილიც ცდილობს თავისი თამაში ითამაშოს საერთაშორისო დონეზე და ის ფაქტორი, რომ დღეს, საქართველოს ტერიტორაზე მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა „ნაციონალური მოძრაობის" ამომრჩეველია, ეს არაა მათი პირადი სურვილების გამოხატვა, არამედ, ზოგიერთი აზერბაიჯანული სტრუქტურების პოზიცია, რომელთანაც სააკაშვილის საკმაოდ სერიოზული ფინანსური გავლენები აქვს.

„აზერბაიჯანის სახელმწიფოს ზოგიერთი ოფიციალური სტრუქტურა, პრაქტიკულად, მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას" და ერევა საქართველოს საქმეში. ამის დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ აზერბაიჯანელი ამომრჩევლის პოზიცია აქითკენ მიგვანიშნებს", – აცხადებს მამუკა არეშიძე.

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძეს** ინფორმაცია არა აქვს, თუმცა ფიქრობს, რომ თურქეთის ხელისუფლება პოლიტიკურად უფრო სწორად მოაზროვნე აღმოჩნდა, ვიდრე უკრაინის ხელისუფლება. როგორც ექსპერტი აცხადებს, ამ შემთხვევაში თურქეთმა, როგორც სტრატეგიულმა პარტნიორმა, მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

„პატივი სცა საქართველოს მოსახლეობის არჩევანს და განწყობილებას. აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო თურქეთის ხელისუფლებამ, რადგან იმ ადამიანისთვის პოლიტიკური ტრიბუნის მიცემა, რომელიც ძებნილად არის გამოცხადებული საქართველოში, ეს ქვეყნის მიმართ უპატივცემულობას ნიშნავს", – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს ძლიერი ლობისტები ჰყავს ამერიკაში, საყვარელიძე დარწმუნებული არ არის, რომ ამერიკულ ლობს თავი შეეწუხებინა ასეთი აქციის პოლიტიკური უზრუნველყოფისთვის.

„თურქეთ-ამერიკის ურთიერთობას თუ გავითვალისწინებთ, მეეჭვება ამერიკელი ლობი ვინმეს გამოადგეს თურქეთში და მათ შორის სააკაშვილს. მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ამერიკული ლობი თავს შეიწუხებდა ასეთი აქციის პოლიტიკური უზრუნველყოფისთვის. არ მგონია, დღეს ამერიკული ლობი ისევე იყოს სააკაშვილის მიმართ განწყობილი, როგორც ადრე. ეს ეტყობა ამერიკის საელჩოს საქართველოში", – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

რუსები პუტინს ენდობიან, მთავრობის კი არ სჯერათ

რუსეთის მოქალაქეები სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ ნდობას კარგავენ. სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ლევადა-ცენტრი აქვეყნებს. გამოკითხვის თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში რუსების ნდობა მთავრობისადმი 19 პროცენტით შემცირდა და დღეისათვის 26 პროცენტს შეადგენს. პარლამენტს კი ნდობას გამოკითხულთა მხოლოდ 22 პროცენტი უცხადებს. კვლავინდებურად მაღალი რეიტინგი აქვს რუსეთის პრეზიდენტს. მას რესპონდენტთა 74 პროცენტი ენდობა.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იამზე ფაჩუაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** იამზე ფაჩუაშვილი (პ/ნ 42001026535), ფოთი, გურიის ქ. №191, ბინა №25.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, გურიის ქ. №191, მე-5 სართული, ბინა №22 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.566.01.022).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41870.38 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 14 ოქტომბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 28 ოქტომბერი, 15:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35809716;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 358097
6. **მოვალე:** ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35809716; ლოტის ნომერი: 358097).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 27 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანარ იბადოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, გურიის ქ. №191, მე-4 სართული, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 04.02.11.566.01.016).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ პირველი რიგის გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 63173.55 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 14 ოქტომბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 28 ოქტომბერი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP35809516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 358095
6. **მოვალე:** ანარ იბადოვი (პ/ნ 61091000467), ფოთი, გურიის ქ. №191/16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP35809516; ლოტის ნომერი: 358095).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 27 ოქტომბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დავით კოდუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დავით კოდუა (პ/ნ 65002003242), თბილისი, ზ. ფანასკერტელის ქ. №13ა, ბინა №37;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №38 (ყოფ. ბარნოვის №140), საოფისე ფართი №5, სართული №2 (საკადასტრო კოდი: 01.14.11.029.017.01.03.005).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 133659.24 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 28 ოქტომბერი, 15:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

5. **მოვალე:** დავით კოდუა (პ/ნ 65002003242), თბილისი, ზ. ფანასკერტელის ქ. №13ა, ბინა №37.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 28 ოქტომბრის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციამ“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე საჰაერო მოძრაობის მართვის სარეზერვო სისტემის მონტაჟი დაიწყო. სამუშაოები 2 კვირაში დასრულდება. სარეზერვო ცენტრის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ავიაციის განვითარების საქმეში. შპს „საქაერონავიგაცია“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საჰაერო მოძრაობის მართვის ახალ ცენტრს აშენებს, რომელიც ესპანური კომპანია „ინდრას“ მიერ წარმოებული საჰაერო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემით იქნება აღჭურვილი. პირველი სარეზერვო სისტემა, რომელიც თბილისში დამონტაჟდება, ძირითადი სისტემის გათიშვის შემთხვევაში წამებში ჩაირთვება და ეს პროცესი ავიამეთვალყურისთვის სრულიად შეუმჩნეველი იქნება.

ახალ სისტემას ექნება დამატებითი დაცვა, სისტემისგან დამოუკიდებელი მეორე რეზერვი, რომელიც უკვე სრულად გამორიცხავს სამუშაო პროცესის შეფერხებას. სარეზერვო სისტემა ქუთაისში მონტაჟდება, რაც კომპანიას მისცემს საშუალებას, თბილისის ძირითადი საჰაერო მოძრაობის მართვის ცენტრთან კავშირის დაკარგვის შემთხვევაში (სტიქიური უბედურების ან გაუთვალისწინებელი ვითარების დადგომის დროს), შეყოვნების გარეშე გააგრძელოს საჰაერო ხომალდების სააერნაოსნო მომსახურება.

თავისი ადგილმდებარეობითა და კლიმატური თვისებებით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი იდეალური სარეზერვო აეროპორტია არა მარტო თბილისისთვის, არამედ მეზობელი ქვეყნებისთვისაც. ქუთაისის აეროპორტს აქვს შესაძლებლობა, რომ სატრანზიტო დერეფანის უმნიშვნელოვანესი წერტილი გახდეს.

საქართველოს აეროპორტებს მგზავრთნაკადი 23,46%-ით გაეზარდათ

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს აეროპორტები, რეგულარული და არარეგულარული რეისებით, სულ 2 მლნ 184 ათას 688 მგზავრს მოემსახურა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ზრდა 23,46%-ია.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს აეროპორტებში, რეგულარული და არარეგულარული რეისებით, მგზავრთნაკადმა 1 მლნ 769 ათას 485 მგზავრი შეადგინა.



აღსანიშნავია, რომ 2014 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს აეროპორტების მომსახურებით სულ 1 მლნ 578 ათას 616 მგზავრმა ისარგებლა, შესაბამისად, 2016 წლის 9 თვეში 2014 წლის 9 თვესთან შედარებით მგზავრთნაკადის 38,39 %-იანი ზრდა დაფიქსირდა.

თუ „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობთ, მთელი მსოფლიო, (რასაკვირველია, საქართველოიანად), ხელისგულზე გიდევთ!..

ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

ლადო ასათიანი.
1943

საქართველოს რესპუბლიკა
98
(გამოდის 1918 წლიდან)

როგორც მსოფლიო მეცნიერებამ ბოლო დროს დაამტკიცა, ადამიანის ჯანმრთელობა თურმე მხედველობიდან, თვალებიდან იწყება. ესე იგი, უწინარესად თვალებს უნდა გავუფრთხილდეთ. მით უმეტეს, რომ მეცნიერებისავე მტკიცებით, ჩვენი თვალების უპირველესი მტერია ეკრანი — ტელევიზია იქნება ეს თუ განსაკუთრებით კომპიუტერი.

ამიტომ მხედველობის გაფრთხილების უებარი საშუალება და უებარივე წყაროა, ინფორმაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი რომელიმე სრულყოფილი გაზეთის ან თუნდაც ჟურნალის კითხვა.

ამ მხრივ გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“**, რომლის ფურცლებიც თანამედროვე როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრების მთელ შინაარსს იტევს.

სრულიად თამამად უნდა ითქვას, რომ, რასაც ამ გაზეთში წაიკითხავთ (შრიფტის სიდიდეც კი გათვალისწინებულია), სხვაგან ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ (პოლიტიკა, სოციოლოგია, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, განათლება, მეცნიერება, სპორტი, იუმორი და სხვ).

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველდღიური ეროვნული მკითხველი მთელი მსოფლიოს ამჟამინდელი მდგომარეობის სრულ კურსშია.

ამიტომ ჩვენი კეთილი რჩევაა, რომ გამოიწეროთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ნამდვილად აღარ დაგჭირდებათ მედიის სხვა საშუალებათა ყოველდღიური თვალიერება.

ჩვენი გაზეთი კვირაში 5-ჯერ გამოდის.. თვეში 10 ლარი, 6 თვეში 60 ლარი, ხოლო მთელი წელიწადი 120 ლარი ჯდება. იაფი და იორღაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

2017 წლისთვის ხელმოწერა უკვე დაწყებულია.

ყველაზე სანდო, გამართული ქართულით დაწერილი გაზეთი აქვე გპირდებათ, რომ თქვენი ყოველი შენიშვნა და კეთილი სურვილი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

გაზეთს ყოველ დილით შინ მოგართმევენ.

გამოწერა შეგიძლიათ:

მაცნე — 2 14 39 06; 2 14 74 22; პლანეტა ფორტე — 2 98 89 90; პრეს+ — 599 24 00 42; ჯეომედია — 593 97 78 88; მერკური — 577 15 78 17; ლიონი — 598 64 23 30.

ხელმოწერა შესაძლებელია თვითონ რედაქციაშიც (სულხან-საბას №3).

◎ საფეხბურთო მოზაიკა

ქინქლაძე ბექჰემის, კრიშტიანუსა და კანტონას წინ!

ინგლისური ინტერნეტპორტალი dreamteamfc.com-ი ატარებს გამოკითხვას, თუ ვინაა ინგლისის პრემიერლიგის ისტორიაში საუკეთესო 7 ნომერი. ჩვენთვის ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულმა გამოცემამ ნომინანტებში გიორგი ქინქლაძეც შეიყვანა.

„ქინქი“ ისეთი ლეგენდების გვერდითაა, როგორებიც ერიკ კანტონა, დევიდ ბექჰემი, კრიშტიანუ რონალდუ, რობერ პირესი არიან. მათ გარდა, ჩამონათვალში შეხვდებით ლუის სუარესსა და მატლე ტისიეს.

ამ დროისთვის გამოკითხვას სწორედ ქართველი ლიდერობს, თანაც უდიდესი უპირატესობით და ძნელად სავარაუდოა, მას მეორე ადგილზე მყოფი რონალდუ დაეწიოს, რადგან გიორგისთან შედარებით 85%-ით ნაკლები ხმა აქვს მიღებული.

„შეგვეძლო აგვერჩია მხოლოდ იმ გოლის გამო, რომელიც „საუთჰემპტონს“ გაუტანა. ეს იყო დაახლოებით ისეთივე, როგორიც დიმიტრი პაიეს გოლი „მიდლსბროს“ კარში, მაგრამ ქინქლაძის გოლი მილიონჯერ უკეთესი გახლდათ.

გიორგი ქინქლაძე იყო ბრწყინვალე შვიდი ნომერი — იგი „მანჩესტერ სიტიში“ დღემდე საკულტო გმირია“, — წერს გამოცემა.

შეგახსენებთ, გიორგი ქინქლაძე ინგლისში კვლავაც ახსოვთ და მის მიერ „საუთჰემპტონთან“ გატანილი გოლი დღემდე პრემიერლიგის ტოპ 10 გოლში შედის, ხოლო ცოტა ხნის წინათ goal.com-ის გამოკითხვაში გაიმარჯვა და იგი „სიტის“ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, რის გამოც 2017 წლის დასაწყისში მანჩესტერში დაჯილდოებენ.

ფიფა განხილვას იწყებს

ფიფას აღმასრულებელი კომიტეტი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვას იწყებს. მუნდიალის ფინალურ ეტაპზე 32 გუნდის ნაცვლად 40 ან 48 გუნდის მონაწილეობის საკითხზე მსჯელობა მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის აღმასკომის უახლოესი სხდომის დღის წესრიგშია გათვალისწინებული, საბოლოო გადაწყვეტილებას კი 2017 წელს მიიღებენ.

ცვლილების განხორციელების ინიციატორი ფიფას ახალი პრეზიდენტი ჯანნი ინფანტინოა, რომელსაც აღნიშნული საკითხი საარჩევნო პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტადაც ჰქონდა შეტანილი.

LEQUIPE-ს ინფორმაციით, თუკი ინფანტინოს ინიციატივა ფიფას აღმასრულებელ კომიტეტში მხარდაჭერას მოიპოვებს და საკითხი დამტკიცდება, ახალი ფორმატი, შესაძლოა, უკვე 2022 წელს ყატარში გასამართ მუნდიალზე გამოიყენონ, უფრო რეალურად კი ცვლილებების განხორციელებას 2026 წლისთვის მიიჩნევენ.

ყაზაიშვილის „ლეგია“ დასაჯეს

პოლონეთის ჩემპიონი ვარშავას „ლეგია“, რომლის ღირსებასაც ვაკო ყაზაიშვილი იცავს, უეფას ჩემპიონთა ლიგაზე მადრიდის „რეალს“ ცარიელი ტრიბუნების ფონზე უმასპინძლებს. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა პოლონური გუნდის აპელაცია არ დააკმაყოფილა და 28 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

„ლეგიას“ აღნიშნული სასჯელის მიზეზი კი დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ლიგის I ტურში გულშემატკივრების მხრიდან მოწყობილი არეულობათა სერია გახდა. საერთოდ, ვარშაველთა ქომაგები ამ მხრივ ევროპაში გამორჩეულნი არიან.

გარდა ამისა, უეფამ ყაზაიშვილის გუნდს ფულადი ჯარიმაც დააკისრა 80 ათასი ევროს ოდენობით.

მარადონა ვერონს: „HIJO DE PUTA“

ფეხბურთის უგვირგვინო მეფე დიეგო არმანდო მარადონა რომ მშვიდი ხასიათით არ გამოირჩევა, ყველამ კარგად იცის. ჰოდა, რომში საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ლეგენდები იღებდნენ, მათ შორის არგენტინელიც.

პირველი ტაიმის მიწურულს მარადონასა და მის თანამემამულე ხუან სებასტიან ვერონს შორის შელაპარაკება მოხდა, უფრო სწორად მარადონა ცდილობდა ვერონის პროვოცირებას, თუმცა, ვერაფერს გახდა. მეტიც, დიეგომ ხუან სებასტიანს არც მეტი, არც ნაკლები „ბოზისშვილი“ უწოდა...

საერთოდ, მარადონას ვერონთან თბილი დამოკიდებულება არასდროს აკავშირებდა და ჯერ კიდევ ივლისის თვეში საჯაროდ აკრიტიკებდა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

თეთრები იწყებენ და იგებენ

კონტინენტის საკლუბო კალათბურთის ლიდერი, ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული ტურნირის II-გზის ტრიუმფატორი მადრიდის „რეალი“ შთამბეჭდავი გამარჯვებით ჩაება ევროლიგის ახალ სეზონში.

გათამაშების სასტარტო შეხვედრა ესპანურმა გრანდმა 83:65 მოუგო არანაკლებ ამბიციურ პირეოსის „ოლიმპიაკოსს“. სხვათა შორის, პირველი სამქულიანით ანგარიში სწორედ ბერძენთა უბერებელმა ვარსკვლავმა ვასილის სპანულისმა გახსნა, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდი აღმოჩნდა — მასპინძლები მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას, შესვენების შემდეგ კი მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს.

ტრავმირებული სერხიო როდრიგესის არყოფნაში „სამეფო კლუბის“ იერიშებს უნარიანად უძღვებოდა სერხიო ლული, რომელმაც თავადაც შედეგიანად ითამაშა და მატჩი ჩინებული პირადი მონაგრით — 22 ქულით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ მან 5-დან 4 სამქულიანი ჩააგდო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

ევროპის საკლუბო რეიტინგი

ევროტურნირების — ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ ქაფის ახალი სეზონის დაწყების წინ Rugbyvision.com-მა მასში მონაწილე კლუბებს დამსახურების მიხედვით სარეიტინგო ქულები მიანიჭა და ევროპის საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა.

115,16 ქულით პირველ ადგილზეა საქართველოს ბოლო ოთხი გათამაშების გამარჯვებულის, ჯამში ქვეყნის 6-გზის ჩემპიონის თბილისის „ლელოს“ მეგობარი ლონდონის „სარასენსი“. გასულ სეზონში ინგლისელებმა ჩემპიონთა თასი მოიგეს და ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. მას მცირედით ჩამორჩება ინგლისური „უოსპსი“.

დავით ზირაქაშვილისა და ვიტო კოლელიშვილის „კლერმონს“ 110,01 ქულა მიაკუთვნეს და ის მესამე ადგილზეა. ათეულში ქართველი ლეგიონერების კიდევ ორი გუნდია. მე-8 ადგილზეა ანტონ ფეიქრიშვილის ირლანდიური „ალსტერი“, ხოლო მამუკა გორგოძის, ლევან ჩილაჩავასა და ბადრი ალხაზაშვილის „ტულონი“ მას მცირედით ჩამორჩება.

მოწინავე ათეულში 5 ინგლისური, ორი ფრანგული და თითო-თითო უელსური, შოტლანდიური და ირლანდიური კლუბები მოხვდნენ. 40 გუნდში არიან რუსული „ენისეი“, სადაც დავით კაჭარავა და მიხეილ გაჩეჩილაძე თამაშობენ და რუმინული „ტიმიშოარა-სარასენსი“. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ორივემ მოიპოვა ჩელენჯ ქაფის ძირითად ბადეში თამაშის უფლება და შარშან ამავე ტურნირზე დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენეს.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

კულინარი მარია

ამ ბოლო დროს ძალიან უცნაურად და არასასიამოვნოდ წარიმართა მარია შარაპოვას ცხოვრება და კარიერა. აღარ ჩამოვთვლით, თუ რა ამბები დატრიალდა რუსი ჩოგბურთელის გარშემო დოპინგ-სკანდალთან დაკავშირებით, რადგან ეს ყველაფერი ისედაც ცნობილი და გადაღეჭილია.

მაგრამ თქვენ არ იფიქროთ, რომ მარია შარაპოვა ადვილად გასატეხი და მოსადრეკი ქალია. იგი ძველებურად მხნედაა და ჩოგბურთის გარდა ისეთ მშვენიერ ფენომენზეც კი ახერხებს ფიქრს, როგორიც კულინარია და გემრიელობების ქვაბში კოხტად ათუხთუხებაა.

მარიამ კონტრაქტი გააფორმა ერთ-ერთ ამერიკულ ტელეშოუსთან და კვირაში ერთხელ პირდაპირი სატელევიზიო ჩართვების დროს ვალდებულია ტელემაყურებლის წინაშე რაიმე ახალი კერძი მოამზადოს და დააგემოვნოს. მარია შარაპოვას გაკეთებულ ბორშჩსა და გულიაშს სულ სხვა გემო და არომატი რომ ექნება, ამაზე მოდით, არასოდეს ვიდავოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ „თანადგომა“

მამულიშვილთა ხსოვნის მატიანე

ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობითა და ბატონ ანზორ ბაბუხადიას რედაქტორობით გამოცემული საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთი „თანადგომა“ თხუთმეტი წელია, გამოდის და ზეციურ საქართველოში გადასული ჩვენი სასიქადულო ერისშვილების სულთა ერთგვარი მოსაგონარია.

სულ ორმოცი დღე გავიდა, რაც ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს გამოეთხოვა ორი უკეთილშობილესი პიროვნება, სამშობლოს სიყვარულით დაფერფლილი ადამიანები, საქართველოს სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სახელმწიფო ორგანოების ღირსეული წარმომადგენელი **ნუგზარ (ხუტა) მამალაძე** და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **იაშა (იაკობ) მესხია**.

გაზეთ „თანადგომის“ ამ დიდებულ ადამიანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ორი სპეციალური ნომერიც სწორედ ახლა გამოვიდა.

14 ოქტომბერს ორმოცი დღე გადის ბატონ ხუტას გარდაცვალებიდან, სვეტიცხოვლობა დღეს, წმინდა დღესასწაულზე, მისი სული ზეციურ საქართველოში გადაინაცვლებს. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, უზენაესი საბჭოს წევრი, გარდაბნის რაიონის გამგებელი ხუტა მამალაძე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, იმ დროისათვის გაბედულ ნაბიჯს დგამს და რაიონში ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მშენებლობას იწყებს. თანამოაზრეებთან და მოსახლეობასთან ერთად ორ წელიწადში სრულდება ამ დიდებული ტაძრის მშენებლობა. ამ ზნეკეთილი ადამიანის შესახებ, უკვე მისი ხსოვნის მოსაგონრად გაზეთში ცრემლიან სტრიქონებს წერენ ბაკურ გულუა, გურამ ფირცხალიშვილი, თამაზ წივწივაძე, ბონდო ჯიქია, რევაზ თედორაძე, გაზეთის ეს ნომერი ბატონ ვიტალი ხაზარაძის თანადგომით დაიბეჭდა.

* * *

„ძალიან ძნელია წარსულში ისაუბრო ადამიანზე, რომელთანაც საკმაოდ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს“ — ასე იწყებს მოგონებას იაშა მესხიაზე, თსუ-ს პროფესორი თბილისის მერი, დავით ნარმანია.

იაშა მესხია მოწოდებით მეცნიერი იყო, გამორჩეული შრომაში, საქმიანობაში. ამიტომაც მან ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ჯეროვანი ადგილი ქართული ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში. მან აღზარდა და დააკვალიანა მრავალი ახალგაზრდა

მკვლევარი, ამიტომაც მისი გარდაცვალება ათასობით ადამიანმა ტკივილით მიიტანა გულთან.

ნოდარ ჭითანავა, კარლო ღურწკაია, ვახტანგ სართანია, ლადო პაპავა, თეიმურაზ ბაბუნაშვილი გულისტკივილით იხსენებენ აწ უკვე მარადისობაში გადასულ ჭეშმარიტ ქართველს, მათ აღმზრდელს, მეგობარს, კოლეგას, უღალატო და ერთგულ ადამიანს.

„თანადგომის“ ეს ნომერი, რომელიც ბატონ იაშა (იაკობ) მესხიას ხსოვნას მიეძღვნა ბატონ პაატა გიორგაძის თანადგომით გამოიცა. ღმერთო, სასუფეველი დაუმკვიდრე ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილთა სულს.

ავთანდილ ბექაური

სანთელი

ზვიად და ხუტა მამალაძეების გახსენება

აი, უკვე თექვსმეტი წელი გავიდა იმ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ და უკვე თექვსმეტი წელია, აღარ მყავხარ ჩემო საყვარელო ძამიკო...

დატოვე მხოლოდ დიდი ტკივილი და სინანული. დღეს, როგორც ყოველთვის უამრავი ადამიანი ყვავილებით შეამკობს საფლავს, როგორც ყოველთვის შენი ძმაკაცები და მეგობრები, ახლო ნათესავები და ჩვენი დედიკოს მეგობარი, მასსავით გულდაწყვეტილი დედები მოეფერებიან შენს საფლავს, მაგრამ არ იქნება მხოლოდ ერთი კაცი, შენი დიდი მომფერებელი და პატივისმცემელი ხუტა მამალაძე, რომელმაც ზუსტად 40 დღის წინ მიგვატოვა. თავისი წასვლით ხუტამ ყველას დაგვწყვიტა გული, ის ხომ განსაკუთრებული იყო ჩვენს გვარში. კაცი, რომელიც დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ ნათესავებს, ზღვა მეგობრებს და ქვეყანას...

დღეს მთელი ჩვენი საახლობლო უკვე ორივეს ერთად მოგეფერებათ და კიდევ ერთხელ გაიხსენებენ თქვენს ერთმანეთთან წლების წინ განვლილ განსაკუთრებულ ურთიერთობას, ხუტა ხომ ყოველთვის გამოგარჩევდა ნათესავებში სხვა ახალგაზრდებისგან. ალბათ იმიტომ, რომ თქვენ ორივეს ძალიან გიყვარდათ ადამიანები, თქვენ განსაკუთრებული მოფერება იცოდით ნათესავებისა და მეგობრებისა.

მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა!

დავით მამალაძე

სანთელი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტის 1964 წლის გამოშვების 803 ჯგუფის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ ჯავახაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარინე, ფერია ილაშვილები, არმაზ, თეა, სოფიკო პაიჭაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსათნოესი ქალბატონის

ციალა ბალიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 29 3-13-34; 599 797679

„მაჩაბელა“

ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური ფესტივალი

2016 წლის 13,14,15,16 ოქტომბერს, „თეატრში ათონელზე“ გაიმართება ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური ფესტივალის „მაჩაბელა“ მონაწილე ბავშვების საჩვენებელი სპექტაკლები. 16 ოქტომბერს, 18 საათზე, მოზაიკის სახლში მოეწყობა მონაწილეთა და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოება. პროექტი ხორციელდება თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით.

ფესტივალის მიზანია თეატრალური სტუდიების/ჯგუფების და ზოგადად თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, განვითარება და ხელშეწყობა, რათა ბავშვებმა შეძლონ ერთმანეთის შემოქმედების უკეთ გაცნობა, დამეგობრება, გამოცდილების გაზიარება და ჯანსაღი კონკურენცია.

14 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ სკოლა იუჯი — სპ. „წუნა და წრუწუნა“ დას. 13სთ.

14 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ საბავშვო თეატრი „მეორე სახლი — 2“ სპ. „მაუგლი“ დას. 15სთ.

14 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ საბავშვო თეატრი

„მეორე სახლი — 2“ სპ. „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ დას. 17სთ.

15 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ საბავშვო მუსიკალური თეატრი „ჭინჭრაქა“ სპ. „რეპეტიცია“ დას. 13 სთ.

15 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ ქ.თელავის მოსწ. ახალგაზრდობის სახლის თეატრალური წრე. სპ. „ჩაპლინიანა“ დას. 15სთ.

15 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 1“.

16 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ ნინოწმინდას მოყვარულთა თეატრი (კონკურს გარეშე,სტუმრის სტატუსით) დას. 12 სთ.

16 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ — ფოთის ა.ხორავას სახ. ხელ.სასწავლ. საბავშვო თეატრი სპ. „არგო“ დას. 15სთ.

16 ოქტომბერი — „თეატრი ათონელზე“ ოზურგეთის ბავშვთა თეატრალური სტუდია „პეპელა“ სპ. „ეზოში ავი ძაღლია“ დას. 16 სთ.

16 ოქტომბერი — „მოზაიკის სახლი“ გრანდიოზული დახურვა- დაჯილდოება 18 საათზე.

მარნეულში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით 6 პირი დააკავეს

მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში არჩევნების დღეს მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, შსს-მ 6 პირი დააკავა. ამის შესახებ ცნობილი საგანგებო ბრიფინგზე გახდა.

„შსს-ს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში, 48-ე საარჩევნო უბანში, საარჩევნო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლის და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 163-ე და 353-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 6 პირი: 1997 წელს დაბადებული რ.ზ., 1994 წელს დაბადებული მ.ნ., 1996 წელს დაბადებული ბ.მ., 1996 წელს დაბადებული ჰ.კ., 1992 წელს დაბადებული ვ.კ. და 1993 წელს დაბადებული ა.ნ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტის დროს, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ. ისინი მოქალაქეებს საარჩევნო უბანში შეჭრისა და საარჩევნო ყუთის გატაცებისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო ადგილზე წესრიგის დაცვის მიზნით მობილიზებულ სამართალდამცველებს ქვები დაუშინეს. დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე სამართალდამცველი, მათ შორის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე დაშავდა. თავდამსხმელებმა საარჩევნო ყუთის გატაცება ვერ შეძლეს. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იქნა პოლიციის დამატებითი ძალები. სამართალდამცველების ჩარევის შედეგად, სიტუაცია განიმუხტა.

შსს-ს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს სსკ-ს 162-ე პრიმა მუხლით აწარმოებს, რაც კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ძალადობას ან ძალადობის მუქარას გულისხმობს.

სამართალდამცველები, ინციდენტში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, ინტენსიურ ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს აწარმოებენ.“ — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

◎ აწმყო აგებს მომავალს

იუზა ჩაკვეტაძე

თუ გვსურს ნატვრა ასრულდეს!

ხმალი ელავს დამოკლეს, სისხლი ტბორავს ამიერს,
მეტისმეტად ამოკლეგს ამ ცხოვრებას წამიერს.

მახსოვს ახლო წარსული, ქვეყანა რომ არიეს,
ქართველები ვერ ვანგრევთ ძმათა მტრობის გარიერს...

იალბუზი დათალხეს მოთარაშე ნისლებმა,
აფხაზეთი დავკარგეთ, გული სევდით ივსება.

სამაჩაბლოს წუხილი ლიახვს ამღვრევს, აღელვებს,
ჩვენი ერის ტკივილი არ აღარდებთ გაღმელებს.

ცრემლი სცვივა მყინვარებს, მთვარე გზარს ვერ ამთელებს,
მტრობა ისევ მძვინვარებს, გვათითოებს ქართველებს.

თუ კვლავ ასე ვიარეთ, მომავლის გზას ავცდებით,
ერს უღრმავებს იარებს, მოვიკვეთოთ გამცემი.

ზეცას ჯანღი აშავებს, აყიყინდნენ „ნაცები“,
თუკი უკან დაბრუნდნენ, არ ვყოფილვართ კაცები.

სიკეთის ქმნა არ ძალუძს ბოროტებით გალეშილს,
ჩვენ მამულში აღვკვეთოთ, მომხდურების თარეში...

თეთრი ჩოხა აცვია, ცას ბჭედ უდგას მყინვარი,
ქარი მკერდზე ემსხვრევა ჩრდილოეთის მძვინვარი.

თერგი ნანას უმღერის, ეფერება დარიალს,
მთის ფერდობზე შველი ძოვს ხასხასა მოლს ნამიანს.

ჭიუხებში ავდივარ, არვე ვნახე ჯიხვების,
თუ დავიცავთ ბუნებას, დღეგრძელები ვიქნებით.

მზემ ზეცაზე გაშალა, ცისარტყელას ფერები,
ვერ დარჩები გულგრილი საქართველოს მშვენებით...

ნაკადულებს იერთებს, ბარში მოჰქრის არაგვი,
მუდამ უნდა გვახსოვდეს წინაპრების ამაგი.

ერთად ვდგებით, სალოცავს მთის მწვერვალზე ავაგებთ,
ხატთან სანთელს ავუნთებთ სამასივე არაგველს.

ჩემს გულში შურს რა უნდა, მოვამტვრიე ეშვები,
ვაზი როცა ყვავილობს, მთიდან ბარში ვეშვები.

შემოდგომის სურნელით გაუღენთილა მარანი,
ამერ-იმერს სიკეთე კვლავ გენახოთ მრავალი.

მაჭარი რომ ღვინდება, პაპა თავს ხდის კვირას ჭურს,
ისევ ერთად ვიმღერებთ, შავლეგოს და კრიმანჭულს...

ჩვენ სამშობლოს ვუმრავლებთ ვაჟებსა და ასულებს,
ღვთის მოძღვრებას ვუსმინოთ, თუ გვსურს ნატვრა ასრულდეს!

P.S.
ეკალ-ბარდს არ მივაკარებთ მამა-პაპურ ზედაშეს,
ქართველები გელოდებით, განთიადო, მზეს და შენ.

აწმყოს ფუძე წარსულია, აწმყო აგებს მომავალს,
ღვთისმშობელი საქართველოს აიაზმით მონამავს.

◎ დღესასწაული

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია და ქართველი ხალხი დღესასწაულობს საუფლოისა და კვართისა, აგრეთვე ღვთაებრივ ბრწყინვალე დღეს, იგივე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი მართლმადიდებლური სიწმინდე არის სვეტიცხოველი!

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სვეტიცხოვლის ტაძარი ხის ყოფილა... მშენებლობისას თურმე ერთი, ბოლო სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, მაგრამ წმინდა, ქალწულ, მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი...

ნიშანდობლივია ისიც, რომ სანამ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მღვდელნი ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სიხარულით ისტუმრა იოანე ეპისკოპოსი, ხოლო წმინდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი — კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

საგულისხმოა, რომ მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელიღო დედოფალმა, მეფემ, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა.

ფრიად საინტერესოა ისიც, რომ წმინდა ნინოს რჩევით, ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღიმართა, მეორე — ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვარი კი — არაგვს გაღმა კლდოვან ბორცვზე (ანგელოზის პირით ეუწყათ). როცა ეს პატიოსანი ჯვარი მცხეთაში აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში...

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით სვეტიცხოველში — სადაც საქართველოს გაბრწყინებაა გაცხადებული, განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება!

გიული ლიპარტია

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის ყოფილ პარტიულ და სამეურნეო გამოჩენილ მუშაკს (საქარხნო რაიკომის მეორე მდივანი, ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი) საქართველოს ნავთობის მრეწველობის ერთ-ერთ დამსახურებულ თავკაცს (საქნავთობის ყოფილი გენერალური დირექტორი) მეგობრებისა და ახლობლების უბადლო მოყვარულს, უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

გია მახარაძეს.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3527; ევრო - 2.5920;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.8844;
100 რუბლი - 3.7594; თურქული ლირა - 0.7618;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4694;
1000 სომხური დრამი - 4.9361.

ამინდი 14 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +19
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +16
თბილისი:	ღამე +12,	დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE